პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 14 მაისი, 1943 წ. № 105 (6730). ფასი 20 კაპ.

**ჰიტლერულმა მთავრობამ და მისმა აგენტებმა სრულად უნდა აგონ პასუხი და სასტიკად უნდა იქნან დასჯილნი თავიანთ საშინელ ბოროტმოქმედებათათვის, გერმანელ ფაშისტთა მონებად ძალით წაყვანილ მილიონობით საბჭოთა მოქალაქეთა ტანჯვისა და წამებისათვის.**

(საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ნოტიდან).

# საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ნოტა

## მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქეების გერმანელ ფაშისტთა მონობაში მასობრივი იძულებითი წაყვანისა და ამ დანაშაულისათვის იმ გერმანელ ხელისუფალთა და კერძო პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომელნიც გერმანიაში საბჭოთა მოქალაქეების მონური შრომის ექსპლოატაციას ეწევიან

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა ა. წ. 11 მაისს შემდეგი შინაარსის ნოტა გაუგზავნა იმ ქვეყნების ყველა ელჩსა და დესპანს, რომლებთანაც სსრ კავშირს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის დავალებით პატივი მაქვს გაცნობოთ შემდეგი:

საბჭოთა კავშირის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებმა გერმანელთა ოკუპაციისაგან წითელი არმიის მიერ 1942-1943 წწ. ზამთრის კამპანიის მსვლელობაში განთავისუფლებულ ტერიტორიაზე უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში აღმოაჩინეს გერმანელი ხელისუფლების მიერ საბჭოთა სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ ჩადენილ უთვალავ სასტიკ ბოროტმოქმედებათა ახალი დამამტკიცებელი საბუთები. ჰიტლერული მთავრობისა და სამხედრო სარდლობის გეგმებისა და ინსტრუქციების მიხედვით გერმანელი ფაშისტი ხელისუფალნი ყველგან ძარცვავდნენ, აწამებდნენ, ხოცავდნენ საბჭოთა მოქალაქეებს, კლავდნენ სამხედრო ტყვეებს, სულ მთლად ანგრევდნენ საბჭოთა ქალაქებსა და სოფლებს, გერმანიის ტყვეობაში მიჰყავდათ ასიათასობით საბჭოთა მოქალაქე. გერმანელ ფაშისტთა მხეცობანი, რომელთა ნიმუშებსაც უკვე აცნობებდა ხოლმე საბჭოთა მთავრობა უცხოეთის მთავრობებს, ჰიტლერელების მიერ ხორციელდებოდა ყველგან, სადაც კი ისინი ფეხს შესდგამდნენ, და ამ მხეცობას კიდევ უფრო ყოვლისმომცველი ხასიათი ჰქონდა, ვიდრე ამაზე მსჯელობა შეიძლებოდა გერმანელთა განდევნამდე მათ მიერ დაკავებული ტერიტორიიდან.

დამონებული საბჭოთა მშვიდობიანი მცხოვრებლების იძულებით წაყვანას გერმანიაში, მხეცურ ექსპლოატაციასა და სისტემატურ ჟლეტას განსაკუთრებული ადგილი უკავია გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების საზიზღარ დანაშაულობათა გრძელ წყებაში და მათი მეთაურების ვარაუდებში. როგორც საბჭოთა მთავრობის განკარგულებაში არსებული დოკუმენტალური მასალიდან ჩანს, მონობაში საბჭოთა მშვიდობიან მოქალაქეთა იძულებითი წაყვანით ჰიტლერელთა დანაშაულებრივი ხროვა უწინარეს ყოვლისა მიზნად ისახავს შეავსოს მუშახელის მწვავე ნაკლებობა გერმანიაში და გერმანიის მრეწველობიდან გაათავისუფლოს ადამიანთა დამატებითი რეზერვები ძლიერ შეფერთხილი ჰიტლერული არმიისათვის. გერმანელი ფაშისტი ხელისუფალნი და გერმანიის სამოქალაქო მოსახლეობის ბევრი კერძო პირი, რომლებიც საბჭოთა მოქალაქეების მონური შრომის ექსპლოატაციას ეწევიან, ყოველნაირად აბუჩად იგდებენ მათ, ამცირებენ მათს ადამიანურ ღირსებას და განწირული ჰყავთ ისინი აუტანელი მონური შრომით, შიმშილითა და წამებით დასაღუპავად.

საბჭოთა მთავრობა თავის მოვალეობად სთვლის აცნობოს ყველა ხალხს ახალი დოკუმენტები და ფაქტები იმ უმაგალითო ბოროტმოქმედებათა შესახებ, რასაც გერმანელები სჩადიან გერმანიაში გარეკილი საბჭოთა მშვიდობიანი მოქალაქეების მიმართ, რომლებსაც ისინი მონებად ხდიან, აგრეთვე განაცხადოს, რომ გარდუვალია შურისგება ყველა ამ დანაშაულთათვის.

### I

## ჰიტლერელ ხელისუფალთა გეგმები და ბრძანებანი ოკუპირებული საბჭოთა რაიონების მშვიდობიან მცხოვრებთა დამონების შესახებ

წითელი არმიის მიერ განადგურებული გერმანელ ფაშისტთა ჯარების შტაბებში ნაპოვნი დოკუმენტები, აგრეთვე საბჭოთა ადამიანების ნაამბობი და წერილები, გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების და მათი ნათესავების წერილები იმას მოწმობენ, რომ მრავალი ასიათასობით საბჭოთა მოქალაქის მონებად გადაქცევა, მათი ყიდვა და გაცვლა გერმანიის სპეციალურ მონათა ბაზრებში გადაქცეულია გერმანიის მთავრობის ბრძანებებითა და განკარგულებებით რეგლამენტირებულ სისტემად.

როგორც ცხადად ჩანს საბჭოთა მთავრობის განკარგულებაში არსებული დოკუმენტებიდან, ჯერ კიდევ 1941 წლის 7 ნოემბერს ბერლინში შესდგა საიდუმლო თათბირი, რომელზეც რაიხსმარშალმა გერინგმა თავის მოხელეებს მისცა მითითება გერმანიაში იძულებით სამუშაოებზე საბჭოთა ადამიანების გამოყენების შესახებ. პირველ მითითებაში ნათქვამი იყო: „რუსმა მუშებმა დაამტკიცეს თავიანთი უნარი რუსეთის გრანდიოზული ინდუსტრიის აგებისას. ახლა ისინი გერმანიისათვის უნდა გამოვიყენოთ... ეს სათანადო ხელისუფალთა და საიდუმლო პოლიციის საქმეა". (აღმოსავლეთში გერმანიის სარდლობის სამეურნეო შტაბის 1941 წლის 4 დეკემბრის №42006/41 საიდუმლო ცირკულარის 1-ლი დანართი).

ამ ცირკულარითვე (დამატების II თავი) გათვალისწინებულია, რომ დამონებული საბჭოთა მოქალაქენი „გამოყენებულ უნდა იქნან უმთავრესად საგზაო მშენებლობასა, რკინიგზების მშენებლობასა და მოსავლის აღების სამუშაოებზე, განნაღმვასა და აეროდრომების მოწყობაზე. გერმანელთა საშენებლო ბატალიონები (მაგალითად, სამხედრო-საჰაერო ფლოტისა) დაშლილ უნდა იქნან. გერმანელმა კვალიფიციურმა მუშებმა სამხედრო მრეწველობაში უნდა იმუშაონ; მათ არ უნდა თხარონ მიწა და არ უნდა ამტვრიონ ქვა, ამისათვის არსებობს რუსი".

„რუსი, — იძლეოდა მითითებას გერინგი იმავე საიდუმლო დოკუმენტში (თავი IV, პუნქტი ა-4), — საჭიროა გამოყენებულ იქნას პირველ რიგში მუშაობის შემდეგ უბნებზე: სამთო საქმე, საგზაო მშენებლობა, სამხედრო მრეწველობა (ტანკები, ქვემეხები, თვითმფრინავთა აპარატურა), სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, დიდი სახელოსნოები (ფეხსაცმლის სახელოსნოები), სპეციალური რაზმები სასწრაფო გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის".

დასახელებულ დოკუმენტში გერინგმა შემდეგი სიტყვებით დაადასტურა, რომ ჰიტლერელთა ხროვა უტიფრად სთელავს ფეხქვეშ ელემენტარულ საერთაშორისო ნორმებსა და წესებს, რასაც ოკუპირებული ტერიტორიების სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ იყენებენ: „რუსი სამოქალაქო მუშების გამოყენება, — ნათქვამია საიდუმლო მითითებათა „ბ" თავში, — და მათდამი მოპყრობა პრაქტიკულად არაფრით არ უნდა განსხვავდებოდეს სამხედრო ტყვეების გამოყენებისა და მათდამი მოპყრობისაგან".

თუ რამდენ არაადამიანურია საბჭოთა სამხედრო ტყვეებისათვის გერმანელი ფაშისტების მიერ დამყარებული რეჟიმი, ეს საყოველთაოდ ცნობილია.

ბოლოს, იმავე დოკუმენტში გერინგმა გასცა სისხლისმსმელური ბრძანება არ დაინდონ გერმანიაში მირეკილი საბჭოთა ადამიანები და უაღრესი სისასტიკით გაუსწორონ მათ ანგარიში ყოველგვარი საბაბით. ამ ბრძანებაში, რომელსაც შეიცავს ნახსენები დოკუმენტის IV თავი, ა-7 პუნქტი, ნათქვამია: „წესრიგის დაცვის ღონისძიებათა გამოყენებისას გადამწყვეტ მოსაზრებას წარმოადგენს სისწრაფე და სიმკაცრე. გამოყენებულ უნდა იქნას დასჯის მხოლოდ შემდეგი სახესხვაობანი, შუალედ საფეხურთა გარეშე: კვების მოსპობა და სიკვდილით დასჯა სამხედრო-საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით".

შემაძრწუნებელი მონათმფლობელური პროგრამის განსახორციელებლად შექმნილ იქნა მოხელეთა უზარმაზარი აპარატი. „მუშათა ძალის გამოყენების დარგში მთავარ რწმუნებულად" ჰიტლერმა 1942 წლის 21 მარტის ბრძანებით დანიშნა ჰაულაიტერი ფრიც ზაუკელი. უკანასკნელმა 1942 წლის 20 აპრილს სრულიად საიდუმლო წესით დაუგზავნა მთავრობისა და სამხედრო ორგანოებს თავისი „მუშათა ძალის გამოყენების დარგში მთავარი რწმუნებულის პროგრამა". ამ დოკუმენტში ნათქვამია: „უაღრესად საჭიროა სავსებით გამოყენებულ იქნას ოკუპირებულ საბჭოთა ოლქებში არსებული ადამიანთა რეზერვები. თუ საჭირო მუშახელის შოვნა ნებაყოფლობით არ მოხერხდება, მაშინ დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ მობილიზაციას ან ინდივიდუალურ ვალდებულებებზე იძულებით ხელმოწერინებას. ოკუპირებულ ოლქებში უკვე მყოფ სამხედრო ტყვეებთან ერთად უმთავრესად საჭიროა საბჭოთა ოლქებში სამოქალაქო კვალიფიციური 15 წლის ასაკისაზე მეტი ხნის მუშა ქალებისა და კაცების მობილიზაცია მათი გერმანიაში სამუშაოდ გამოსაყენებლად".

იმავე „პროგრამაში" (თავი „ამოცანები", პუნქტი 4) ფრიც ზაუკელი აცხადებდა:

„იმისათვის, რომ შესამჩნევად განვტვირთოთ მუშაობისაგან მეტად მოუცლელი გერმანელი გლეხი ქალი, ფიურერმა დამავალა აღმოსავლეთის ოლქებიდან გერმანიაში მოვიყვანო 400-500.000 რჩეული, ჯანსაღი და მაგარი აგებულების ქალიშვილი".

ზაუკელის აგენტები შეუდგნენ სსრ კავშირის ოკუპირებულ რაიონებში მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის აღრიცხვას. აღრიცხვაზე აყვანილ მოქალაქეებს წინადადებას აძლევდნენ „ნებაყოფლობით" წასულიყვნენ სამუშაოდ გერმანიაში. მაგრამ რადგან მოხალისენი თითქმის არ აღმოჩნდნენ, გერმანელებმა განკარგულება გასცეს ძალადობის ზომები მიეღოთ. ჯერ კიდევ 1942 წლის 26 იანვარს „აღმოსავლეთში გერმანიის სარდლობის სამეურნეო შტაბი" საიდუმლო ინსტრუქციით (№ ბრ 981 510 (42) მოითხოვდა:

„უკეთუ მოხალისეთა რიცხვი მოლოდინს არ გაამართლებს, მაშინ ბრძანების თანახმად შეგროვების დროს საჭიროა გამოყენებულ იქნას უაღრესად მკაცრი ღონისძიებანი".

აჩქარებს რა თავის ხელქვეითებს, ფრიც ზაუკელი 1942 წლის 31 მარტს, № ფა 5780.28 (729) ტელეგრაფით აძლევს მათ შემდეგს ბრძანებას:

„შეგროვება, რისთვისაც თქვენ პასუხს აგებთ, უნდა დაჩქარდეს ყველა ხელმისაწვდომი ზომებით, მათ შორის იძულებითი შრომის პრინციპის მკაცრი გამოყენებით".

მონათმფლობელ ზაუკელის „შემგროვებლები" საბჭოთა მოქალაქეებზე ზეგავლენის სხვადასხვა ღონისძიებაში იწვრთნებოდნენ, რათა გერმანელ ფაშისტურ მონობაში ჩაებათ ისინი. ვინც საოკუპაციო ხელისუფალთა გამოძახებით არ ცხადდებოდა, მათ არსებობის ყველა სახსარს უსპობდნენ. დამშეულ ადამიანებს ვაგზლებში იტყუებდნენ პურის დარიგების საბაბით, შემდეგ კი ჯარისკაცებს შემოარტყამდნენ გარს და დახვრეტის შიშით ეშელონებში ერეკებოდნენ. მაგრამ ეს ზომებიც არ სჭრიდა. მაშინ გერმანელმა ხელისუფლებმა მიმართეს განაწილების შედგენას ქალაქებისა და სასოფლო რაიონების მიხედვით, ამასთან ყოველ ქალაქსა და რაიონს სავალდებულო წესით უნდა წარედგინა მცხოვრებთა განსაზღვრული რიცხვი გერმანიაში გასაგზავნად. მაგალითად, ლენინგრადის ოლქის ოკუპირებული ნაწილის რაიონებში, კერძოდ პოჟერევიცის რაიონში, დაგზავნილი იყო გერმანელთა კომენდატურების შემდეგი შინაარსის ბრძანება:

„სათემო ბურგომისტრებს!.. ვინაიდან დღემდე გერმანიაში სამუშაოდ გამოცხადდა ადამიანთა მეტად მცირე რიცხვი, ყოველმა თემის ბურგომისტრმა სოფლების მამასახლისებთან ერთად კიდევ უნდა გამოგზავნოს 15 და მეტი კაცი ყოველი თემიდან გერმანიაში სამუშაოდ. გამოგზავნილ უნდა იქნან უფრო ჯანსაღი ადამიანები 15-დან 50-მდე წლის ასაკისა. ეს ადამიანები აუცილებლად 1942 წლის 4 ივნისამდე გამოგზავნილ უნდა იქნან პოჟერევიცში. პოჟერევიცის კომენდანტი".

საბჭოთა მთავრობის განკარგულებაშია სრული ტექსტი ხარკოვის პოლიტიკური პოლიციის და „სს"-ელთა ხელმძღვანელობასთან არსებული უშიშროების სამსახურის უფროსის მოხსენებისა „ქალაქ ხარკოვში 1942 წლის 23 ივლისიდან 9 სექტემბრამდე არსებული მდგომარეობის შესახებ".

„მუშახელის შეგროვება, — ნათქვამია ამ დოკუმენტში, — სათანადო დაწესებულებებს შეწუხებას აყენებს, ვინაიდან მოსახლეობაში შემჩნეულია უაღრესად უარყოფითი დამოკიდებულება გერმანიაში სამუშაოდ გაგზავნისადმი. მდგომარეობა ამჟამად ისეთია, რომ ყოველი კაცი ყოველნაირი საშუალებით ცდილობს თავი აარიდოს შეგროვებას (იგონებენ ავადმყოფობას, გარბიან ტყეში, ქრთამს აძლევენ მოხელეებს და სხვ.). გერმანიაში ნებაყოფლობით გაგზავნაზე უკვე დიდი ხანია ლაპარაკიც კი არ შეიძლება".

ამრიგად, გერმანიის ოფიციალური დოკუმენტებიდან ცხადად ჩანს, რომ საბჭოთა მოქალაქეების მასობრივი წაყვანა გერმანელთა მონობაში, ამასთან მათი გათანაბრება სამხედრო ტყვეებთან, წარმოადგენდა ამოცანას, რაც ჰიტლერელი მეთაურების მიერ დასახული იყო გერმანელ ფაშისტთა საოკუპაციო ხელისუფლების წინაშე, და რომ ამ ამოცანის განსახორციელებლად ოკუპანტები არ ერიდებოდნენ არავითარ ძალადობას საბჭოთა სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ.

### II

## საბჭოთა ადამიანების ძალდატანებით წაყვანა გერმანელ ფაშისტთა მონობაში

ჰიტლერული მთავრობის ავაზაკური გეგმათა შესასრულებლად გერმანელმა ხელისუფლებმა მოაწყეს მთელი ოკუპირებული საბჭოთა ტერიტორიიდან გერმანელთა მონობაში მშვიდობიანი საბჭოთა მოსახლეობის მასობრივი წაყვანა, ამასთან აღარც კი ცდილობდნენ დაეცვათ „ნებაყოფლობის" თუნდაც რაიმე ნასახი. გერმანელების მიერ დაპყრობილ საბჭოთა მიწა-წყალზე არ არის პირდაპირ არც ერთი ქალაქი, არც ერთი სოფელი, არც ერთი დასახლებული პუნქტი, საიდანაც გერმანელ ფაშისტ ავაზაკებს მონობაში არ გაერეკათ [illegible]

[illegible] რათა ძალდატანებით გაეგზავნათ ისინი გერმანიაში, და მხოლოდ წითელი არმიის ნაწილებმა, რომლებმაც მიუსწრეს, საშინელი ხვედრისაგან იხსნეს მშვიდობიანი მცხოვრებნი.

დამპყრობთაგან განთავისუფლებულ ყველა ქალაქსა და სოფელში წითელი არმიის ნაწილები პოულობენ გერმანიის მონობაში სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი გარეკვის მრავალრიცხვოვან ფაქტებს. არსებობენ ჰიტლერელ მეთაურთა აღიარებანი, რომლებიც ერთგვარ წარმოდგენას იძლევიან ცივილიზებული ხალხების ისტორიაში ჯერ არგაგონილი მილიონობით მშვიდობიან მცხოვრებთა დატყვევებისა და მონებად გადაქცევის გიგანტურ მასშტაბებზე. მაგალითად, ჰიტლერელი სატრაპის „უკრაინის რაიხსკომისარ" ერიხ კოხის მტკიცებით, რაც გამოქვეყნებულია 1943 წლის იანვრის გაზეთ „დოიჩე უკრაინე ცაიტუნგში", „გერმანიაში გაგზავნილია 710 ათასი უკრაინელი". იმ განცხადების მიხედვით, რაც გამოქვეყნებულია გაზეთ „მინსკერ ცაიტუნგში" ა. წ. 14 იანვარს „მუშახელის გამოყენების სამმართველოს" მიერ, რომელსაც ზაუკელი მეთაურობს, „1942 წელს გერმანიაში გაგზავნილია დაახლოებით 2 მილიონი სული აღმოსავლეთში ოკუპირებული ოლქებიდან".

როგორც დოკუმენტალური მასალებიდან და წითელი არმიის მიერ განთავისუფლებული რაიონების მცხოვრებთა ჩვენებებიდან ჩანს, გერმანელი ფაშისტი ხელისუფალნი თვიდან თვემდე ავრცელებდნენ თავიანთს იძულებითს „შეგროვებას" მოსახლეობის სულ ახალ-ახალ კატეგორიებზე და ზოგიერთ პუნქტში, განსაკუთრებით უკანდახევისას, თან მიჰყავდათ გერმანიის ღრმა ზურგში გასაგზავნად უკლებლივ მთელი მოსახლეობა, რომელსაც კი მოძრაობის უნარი ჰქონდა. თუ წინათ ჰიტლერელ მონათმოვაჭრეთა აგენტები ცდილობდნენ შეერჩიათ მხოლოდ ფიზიკურად უფრო ჯანსაღი და ამტანი ადამიანები, უპირატესად 15-დან 45 წლამდე ასაკისა, უკანასკნელ თვეებში კი, რომლებიც ჰიტლერელების მიერ წარმოებულ „ტოტალურ" (ყოვლისმომცველ) მობილიზაციას ემთხვევა, მონობაში მიჰყავთ ავადმყოფებიც და ინვალიდებიც, ამასთან დამონებულთა ასაკი უკვე 12-დან 60 წლამდე ქანაობს. ჰიტლერელებისათვის ჩვეული სადისტური სიმკაცრით ისინი მონობაში წაყვანისას ოჯახებს არღვევენ, ერთმანეთს აშორებენ მშობლებსა და შვილებს, და-ძმას, ცოლ-ქმარს.

მთელი ქალაქები და რაიონები გაუკაცრიელდა ჰიტლერელი კაციჭამიების მიერ საბჭოთა ადამიანების ორგანიზებული მოტაცება-გაულეტის შედეგად. აი რამდენიმე ტიპიური მონაცემი სმოლენსკის ოლქის გჟატსკის რაიონის შესახებ, რომელიც ამას წინათ გაათავისუფლა წითელმა არმიამ: ამ რაიონში, რომელშიც გერმანელთა ოკუპაციამდე 32.000 მცხოვრები ითვლებოდა, წითელი არმიის მისვლის მომენტისათვის დაახლოებით შვიდიათას ხუთასი კაცი დარჩა, ამასთან გჟატსკის რაიონის სოფლებიდან გერმანიაში გარეკილ იქნა 5.419 კაცი, მათ შორის 624 „შრომისუნარიანი" ბავშვი 14 წლისაზე ნაკლები ასაკისა, ხოლო ქალაქ გჟატსკში, სადაც ოკუპაციამდე 13.000-ზე მეტი მცხოვრები იყო, დამპყრობთაგან განთავისუფლების დღეს აღმოჩნდა 1.000 კაცზე ცოტა მეტი, რომელთა დიდ უმრავლესობას თავიანთ მშობლებს დაშორებული მცირეწლოვანი ბავშვები შეადგენდნენ.

გერმანელთა მონობაში საბჭოთა ადამიანების გარეკვას თითქმის ყველგან თან ახლავს დამპყრობთა სისხლისმღვრელი რეპრესიები იმ საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ, რომელნიც ემალებიან მათზე მონადირე მონათმოვაჭრეებს. მაგალითად, გჟატსკში გერმანელებმა დახვრიტეს ქალაქის 75 მშვიდობიანი მცხოვრები, რომელნიც არ გამოცხადდნენ შესაკრებ პუნქტში, სადაც ისინი კომენდანტის უწყებით იყვნენ გაწვეულნი გერმანიაში გასაგზავნად. პოლტავაში 1942 წლის დეკემბრის დამლევს ჩამოხრჩობა მიესაჯა 65 კაცისაგან შემდგარს რკინიგზელთა ჯგუფს, რომელთაც უარი სთქვეს გამგზავრებულიყვნენ გერმანიაში ჰიტლერულ კატორღაში. საოკუპაციო ხელისუფლება ყველას, ვინც თავს არიდებს გერმანიაში გასაგზავნად „შეგროვებას", პარტიზანებს უთანაბრებს, „კანონს" გარეშე აცხადებს მათ, დამსჯელ ექსპედიციებს ჰგზავნის იმ რაიონებში, რომელთაც არ შეუსრულებიათ „განაწილება" მონების ჩაბარების მხრივ, სწვავს მთელ სოფლებს და ასობით ადამიანს ხვრეტს. ბელორუსიაში სლუცკის რაიონის სოფლებში ა. წ. თებერვლის დამლევს გააკრეს განცხადება, რომელსაც ხელს აწერდა ოლქის გერმანელი კომისარი და რომელშიც ნათქვამი იყო: „1900-1927 წლებში დაბადებული ყველა მცხოვრები, როგორც მამაკაცი, ისე ქალიც, 1943 წლის 2 მარტს დილის 10 საათზე უნდა გამოცხადდეს სამა- [illegible]

[illegible] სად სასტიკ რეპრესიებს მიმართავენ, ჩამოხრჩობამდეც კი.

საბჭოთა მოქალაქეები გერმანელების მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე სულ უფრო და უფრო ხშირად და უფრო ორგანიზებულად უწევენ მამაცურ წინააღმდეგობას გერმანელ მონათმფლობელებსა და მათს აგენტებს. ბალტიისპირეთის, უკრაინისა და ბელორუსიის რაიონებიდან მრავალრიცხვოვანი ცნობები მოდის იმის შესახებ, რომ პარტიზანულ რაზმებში მასობრივად მიდის არა მარტო მოზრდილი მამრობითი მოსახლეობა, არამედ მიდიან ის ქალებიცა და მოზარდებიც, რომელნიც ემალებიან გერმანიაში გარეკვას, ამ რაზმების რიგებში ისინი იცავენ თავიანთ თავისუფლებას. პარტიზანული მოძრაობის ზრდას იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა ადამიანები ეწინააღმდეგებიან გერმანელთა მონობაში მათს იძულებითს წაყვანას, შეშფოთებით აღიარებენ გერმანელთა სამხედრო და საპოლიციო ორგანოები მთელ რიგ საიდუმლო მოხსენებებში.

ერეკებიან რა საბჭოთა ადამიანებს ფაშისტურ მონობაში, გერმანელები მასობრივად იჭერენ მათ, აწყობენ დამსჯელ ექსპედიციებს, ალყას არტყამენ მთელ რაიონებს, ქალაქებს, იჭერენ ადამიანებს გზებზე, მიერეკებიან შესაკრებ პუნქტებში. საბჭოთა მთავრობის განკარგულებაში მოიპოვება მრავალრიცხვოვანი მასალა, რომელიც გვიხატავს, თუ რა საშინელ პირობებში ჰგზავნიან იძულებით გერმანიაში საბჭოთა მშვიდობიან მოქალაქეებს დალუქული ვაგონებით, რომლებსაც იცავენ ჯარისკაცები ან პოლიცია. უკრაინის, ბელორუსიისა და რუსეთის ოკუპირებული რაიონებიდან დღედაღამ მიდიან გერმანიაში მონებად წაყვანილთა ეშელონები. ადამიანებს პირუტყვსავით ჰყრიან ვაგონებში, 60-70 კაცს ერთს საქონლის ვაგონში. ღონემიხდილთ და ავადმყოფებს ვაგონებიდან ხრამში ჰყრიან; დასავლეთისაკენ მიმავალი გზები მოფენილია საბჭოთა ადამიანების გვამებით.

წითელი არმიის ნაწილების მიერ განთავისუფლებულ ქალაქ მილეროვოს მცხოვრები რაისა დავიდენკო, რომელმაც თავი დააღწია ფაშისტურ ტყვეობას, ამბობს: „ცივს, საქონლის ვაგონებში ისეთი ჭედვა იყო, რომ მიბრუნ-მობრუნებაც კი არ შეიძლებოდა. ყველა ვაგონს ზედამხედველი ახლდა, რომელიც ყოველგვარ თხოვნაზე ჯოხის ცემით გვპასუხობდა. მთელი გზა შიმშილით გვხოცავდნენ..."

კურსკის ოლქის სოფელ ნიკოლაევკის კოლმეურნე ვარვარა ბახტინა ამბობს: „კურსკში ჩვენ შეგვყარეს სახბორეში 50-60 კაცი ბავშვ. გამოსვლის ნებას არ გვაძლევდნენ. გერმანელი დარაჯი წამდაუწუმ კინწისკვრით გვიმასპინძლდებოდა. ლგოვში გადმოგვსხეს, აქ სპეციალურმა კომისიამ შეგვამოწმა. ჯარისკაცების წინაშე გვაშიშვლებდნენ, გვისინჯავდნენ სხეულს. რაც უფრო ვუახლოვდებოდით გერმანიას, მით უფრო იცლებოდა ჩვენი ეშელონი. კურსკიდან 3 ათასი კაცი წაგვიყვანეს, მაგრამ თითქმის ყოველ სადგურზე ჰყრიდნენ ავადმყოფ და შიმშილით მომაკვდავ ადამიანებს. გერმანიაში ბანაკში მოგვათავსეს, სადაც საბჭოთა სამხედრო ტყვეები იყვნენ. ეს იყო ტყის ნაკვეთი, რომელსაც შემოვლებული ჰქონდა ეკლიანი მავთულის მაღალი ღობე. ოთხი დღის შემდეგ ადგილებზე დაგვანაწილეს. მე, ჩემი და ვალენტინა და კიდევ 13 ქალიშვილი სამხედრო ქარხანაში მოვხვდით".

ვოროშილოვგრადის ოლქის ვერხნე-ტიოპლოეს რაიონის სოფელ სრედნე-ტიოპლოეს მცხოვრებმა, 1924 წელს დაბადებულმა ვლადიმერ პეტრეს-ძე ველიშკურსკიმ, რომელიც 1942 წლის 8 ოქტომბერს გამოიქცა გერმანიიდან, განაცხადა: „გზაში გერმანელი ჯარისკაცები გვცემდნენ. მე თვითონ დავინახე, რომ, როცა ჩვენი მოზარდები სადგურებზე წყლის დასალევად ჩარბოდნენ, ჯარისკაცები სცემდნენ მათ. სცემდნენ მობილიზებულ ქალიშვილებსაც, მათ ერეკებოდნენ ვაგონებში, რომლებსაც კლიტეს ადებდნენ. გერმანიის სამოქალაქო მოსახლეობა შეურაცხყოფას გვაყენებდა, ქვიშას გვაყრიდა თვალებში და ქვებს გვესროდა, ბავშვები კი გვახელებდნენ სიტყვებით „რუსო ღორებოო". ჩვენი ეშელონი 12 დღე-ღამეს იყო გზაში. 1942 წლის 18 სექტემბერს ჩავედით გერმანიის ქალაქ ჰალეში, როცა მივედით, ჩაგვამწკრივეს, მოვიდნენ გერმანელი ქალბატონები და იწყეს თავისთვის მონად წასაყვანი ქალიშვილების არჩევა".

ამრიგად, დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ გერმანელ ფაშისტთა ხელისუფლება, რომელიც ცდილობს მილიონობით მონა მიიღოს, მხეცურ ძალადობას მიმართავს საბჭოთა სამოქალაქო მოსახლეობისადმი, აგრეთვე შეპყრობილ საბჭოთა მოქალაქეებს გერმანელთა ტყვეობაში გაგზავნისას ისეთ პირობებს უქმნის, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გზაშივე იღუპება შიმშილით, ცემა-ტყეპითა და გერმანიაში გადაყვანის პირუტყვული პირობების გამო.

### III

## საბჭოთა მოქალაქეების არაადამიანური ტანჯვა და დაღუპვა გერმანელ ფაშისტთა მონობაში

გერმანიაში გარეკილი ასიათასობით საბჭოთა მოქალაქისათვის ჰიტლერელმა მონათმფლობელებმა კატორღული შრომის კიდევ უფრო საშინელი პირობები დააწესეს, ვიდრე ძველი მონათმფლობელობის ყველაზე უარეს დროს იყო. საბჭოთა მოქალაქეები შეყრილი არიან ეკლიანი მავთულით შემოღობილ საკონცენტრაციო ბანაკებში. მათ მიერეკებიან სამუშაოდ და იქიდანაც კოლონებად აბრუნებენ შეიარაღებულ ჰიტლერელთა თანხლებით. გუშინდელ თავისუფალ ადამიანებს წაართვეს სახელი, მათ ამა თუ იმ ნომერს ეძახიან. რუსებსა და უკრაინელებს ეძლევათ სპეციალური გამოსაცნობი ნიშნები: რუსებს—თეთრარშიანი ნიშანი, რომელსაც შუაში აწერია სიტყვა „ოსტ"; უკრაინელებს აქვთ ყვითელარშიანი ცისფერი ნიშანი. საბჭოთა მოქალაქეებს არ შეუძლიათ მოშორდნენ ბანაკს. მონობაში ჩაყრილი საბჭოთა ადამიანებისათვის დაწესებულია საშიმშილო რეჟიმი. გერინგმა თავის ზემომოყვანილ მითითებებში ბრძანა:

„რუსი მიზეზიანი არ არის, ამიტომ იგი ადვილად შეიძლება გამოვკვებოთ ისე, რომ ჩვენი სასურსათო ბალანსი შესამჩნევად არ დავარღვიოთ.. იგი არ უნდა გავანებივროთ, არც გერმანულ საჭმელს უნდა შევაჩვიოთ".

თვითონ ფაშისტურ გერმანულ გაზეთებში გვხვდება გერმანიაში მყოფი საბჭოთა მოქალაქეების მდგომარეობის ისეთი აღწერა, როგორიც არის, მაგალითად, 1942 წლის 17 აპრილს „ფრანკფურტერ ცაიტუნგში" გამოქვეყნებული შემდეგი აღწერა:

„ოკუპირებული საბჭოთა ოლქების მუშები დგანან ეკლიან მავთულშემოვლებულ ბანაკში. ხარკოვის რაიონიდან გერმანიაში მოყვანილ ამ ადამიანებს, რასაკვირველია, სასტი- [illegible]

[illegible] რაგებში უნდა გავატაროთ. ასეთი კვებით, ამასთან უძილოს და ტანშიშველსა და ფეხშიშველს რა გადამარჩენს. თუ შეგიძლიათ ამისრულეთ თხოვნა—გამომიგზავნეთ ნიორი და ხახვი, რადგან საჭმელი სულ ერთნაირი გვაქვს. უკვე ღრძილები მტკივა, სურავანდი მეწყება".

1942 წლის 10 ნოემბერს გამოგზავნილ მეორე წერილში იგივე საბჭოთა ქალიშვილი სწერს: „ჩვენს ცხოვრებას, დედილო, ძაღლის ცხოვრება სჯობია. ისეთსავე მწვანე სუპს გვაძლევენ, რომელსაც ქვლავ არავინა სჭამს. მე ფიქრმა ტვინი გამიხმო, თვალითაც ვეღარაფერს ვხედავ ცრემლისაგან. დღეს მთელ 12 საათს მშიერები ვმუშაობდით. მაგრამ გინდ იტირე, გინდ არა—მუშაობა საჭიროა... რა მუშაობა შეუძლია ადამიანს, რომელიც ყოველდღე მშიერია. მოვა უფროსი, ანდა გვერდით მჯდომი გერმანელი ქალი შეგძახებს: „ნონა, არბაიტენ შნელერ, შნელერ!" („ნონა, სწრაფად, სწრაფად იმუშავე!"). ძვირფასო დედილო, რა მიმძიმს უთქვენოდ ყოფნა. ქვითინი ვერ შემიკავებია. მე შეურაცხყოფის გამო ვტირი. ოჰ, კიდევ უარესი რამ, უფრო მძიმე რამ არის, მაგრამ არ ძალმიძს აწერა... ჩვენ უკვე შევეჩვიეთ იმას, რომ ღამის ორ საათზე იღება კარი, პოლიცია სინათლეს ანთებს და ყვირის: „აუფშტეენ!" („ადექით!"). იმ წამსვე ყველანი ვდგებით და ეზოში გავდივართ. ერთ საათს ვდგევართ. იწყება ჩვენი დათვლა. ველით, თუ როდის შემოვა ეზოში მეორე ცვლა. ვიყინებით, სანამ ეზოში ვდგევართ. გაგონილა, თითქმის ყველანი ფეხშიშველი ვართ. ხანდახან კი კოკისპირულად წვიმს ან ყინვაა. პირდაპირ არ შემიძლია აგწერო მთელი განცდები და ტანჯვა. დედილო, დავიღალე. ქალაქში არ გვიშვებენ, ტყეში ვცხოვრობთ. ყური მოვკარით, რომ სხვა ქარხანაში გადაგვყვანენ. ამჟამად ვმუშაობთ უკრაინელებთან, ფრანგებთან და სერბიელებთან ერთად. დედილო, თუ შეიძლება გამომიგზავნე ამანათი—ხახვი და ნიორი—სურავანდი მაქვს. უარს ნუ მეტყვით თხოვნაზე".

გერმანიაში წაყვანილი ქალიშვილი მაშა ნ., რომელიც ვოროშილოვგრადის ოლქიდან არის, სწერს თავის დედას:

„გამარჯობა, ძვირფასო და საყვარელო დედიკო. მეოთხე წერილს გწერ, მაგრამ არავითარი პასუხი არ მომდის. დედა, მე ვცხოვრობ მეპატრონესთან. პატარა ოჯახია: ორნი არიან, ერთი ბავშვი ჰყავთ, მაგრამ, დედა, საკმაო სამუშაო მაქვს. სულ რვა ოთახია და ერთი კორიდორი. დილას 5 საათზე ვდგები, ვწვები ღამის 10 საათზე. დედა, ყოველდღე დილა-საღამოს ვრეცხავ. მეპატრონე ყოველთვის ყვირის, მისი ისე მეშინია, რომ თავზარდაცემული ძილში ვყვირი ხოლმე. მთელი ხნის განმავლობაში ერთხელ გამიშვეს კვირა დღეს ბანაკში ჩვენებთან. მე ნახევარი საათის დაგვიანებით დავბრუნდი. დედა, როგორ მცემა მეპატრონემ სახეში, თმა დამაგლიჯა, ეს ჩემს დღეში არ დამავიწყდება. დედა, თვეში 7 მარკა და 50 პფენიგი მომცეს. ჩემი უკვე ყველაფერი მიცვდება, მათი არაფერი მაქვს: დედა, ჩვენ გვითხრეს წერილი მისწერეთ შინ, რომ შინიდან გამოგიგზავნონ პალტო, ქეჩურაო. გთხოვ, ძვირფასო დედიკო, ძალას დაგატანენ, მაგრამ აქ არაფერი გამოგზავნო, სულერთია ვერ მივიღებ. რა ვქნა? შინ არ მიშვებენ, მეტის ატანა კი აღარ შემიძლია. ყოველდღე ვტირი და ალბათ ერთადერთი გამოსავალი ისა მაქვს, რომ თავი მოვიკლა. ძვირფასო დედა, თუ გინდა ცოცხალი მნახო, დამიხსენი აქედან, ამ ტყვეობიდან. აღარ შემიძლია ვიცოცხლო და ყოველივე ეს ავიტანო. ძვირფასო დედა, ეცადე ეს შემისრულო, სამაგიეროს გადაგიხდი, თუ ვიცოცხლე. დედიკო, მეტი აღარ შემიძლია ვწერო, ცრემლი მახრჩობს. ვკოცნი ყველა ნათესავს. ჯერ კიდევ შენი ქალიშვილი მაშა".

საბჭოთა ქალიშვილი ნადია ლ. ქალ. ხემნიციდან სამშობლოში იწერება: „ძვირფასო დედა, ჩვენ 60 სული ვცხოვრობთ ბარაკში, ჩალაზე გვძინავს. ამ ბარაკში ძალიან ცივა. სამუშაოდ ტრიკოტაჟის ფაბრიკაში დავდივართ. ვმუშაობთ დილის 6 საათიდან საღამოს 9 საათამდე. დილ-დილობით საჭმელად გვაძლევენ თითო თეფშ ოკროშს (მდუღარეს) და 50 გრამ პურს, სადილად—სუპს უპუროდ, ვახშმადაც სუპს უპუროდ. სამუშაოზეც გვაძლევა პური—დილით 25 გრამი და სადილად 25 გრამი. ძვირფასო დედა, საჭმელი ცუდია, მაგრამ ეს არაფერია, შინ მოსვლა რომ მეღირსებოდეს. დედა, ჩვენ თქვენი წერილი მივიღეთ და ვიტირეთ. ძალიან ვნაღვლობ, რომ მონობაში ვცხოვრობ, სინათლეს ვერა ვხედავ, ვერაფერს ვერა ვხედავ, ჩემს საშინელ ბარაკს გარდა. ჩვენ სამუშაოზე და სამუშაოდანაც მონებივით დავყევართ".

მანია კ. მშობლებს სწერს: „ჩვენ გერმანიის ქალაქ ბლანკენბურგში ვცხოვრობთ. მეპატრონესთან 33 კაცი ვმუშაობთ. აქ არიან უკრაინელებიც, პოლონელებიც, ფრანგებიც და რუსებიც. ცუდად გვაჭმევენ, პურს ძალიან ცოტას გვაძლევენ, ხოლო სამუშაოს ვერც კი ავდივართ. ჩვენ თავს გვადგას ზედამხედველი. ყოველ ჩვენს ნაბიჯს ადევნებენ თვალყურს. არსად არ გვიშვებენ, მხოლოდ სამუშაოზე და სამუშაოდან. 12 საათობით ვმუშაობთ, სამუშაოზე წასასვლელადაც არაფერი გვაცვია. ფულს ჯერ არ გვაძლევენ. ძვირფასო მამიკო, როგორ მოგვებეზრდა მონობა და მუშაობა. ვინ იცის, ვისთვის და რისთვის, ჩვენს შრომასაც არ აფასებენ. სულ გვდევნიან და დაგვცინიან. ნეტავი ფრთები მომცა, რომ ჩემს სამშობლო მხარეში გამოვფრინდე".

ქალიშვილი ფ. ი. სწერს მშობლებს კურსკში გერმანელების მიერ ამ ქალაქის ოკუპაციის დროს: „ჩვენ დატყვევებული ვართ გერმანიაში. ძალიან ცუდი ცხოვრება გვაქვს. ვმუშაობთ მინდვრად. ვჭამთ ორჯერ—დილით 200 გრამ პურს და სადილად ერთ ჯამ სუპს. სამუშაო ძალიან ბევრია. ძალიან, ძალიან ვნანობ, რომ გერმანიაში წამოვედი. [illegible]

[illegible] მანიაში ეს ცხოვრება ჩემს დღეში არ დამავიწყდება. თუ ცოცხალი გადავრჩი და შინ დავბრუნდი, მშობლებო, ყველაფერს გიამბობთ, ისე რომ თმები ყალყზე დაგიდგებათ. მე უკვე გადავწყვიტე თავის მოკვლა, მაგრამ თავი შევიკავე, ვფიქრობ, ჩვენც დაგვიდგება უკეთესი დრო. ძვირფასო დედიკო, ფრთები რომ მქონდეს, როგორ გამოვფრინდებოდი აქედან!".

17 წლის ნინო ს. უცხო მხრიდან სამშობლოში იწერება 1942 წლის 18 აგვისტოს: „ძვირფასო მშობლებო—მამა და დედა, ვიმყოფები ქალ. ზონენბერგში, ვცხოვრობ ბარაკში, ვმუშაობ ფაბრიკაში. რა ძნელია! სულ მთლად გავხდი. დედიკო, ჩვენ ისე ვცხოვრობთ, როგორც პატიმრები. ფეხსაცმელი უკვე გამიცვდა და სამუშაოზე ფეხშიშველი დავდივარ.. რა ძნელია სიცოცხლე! ოჰ, ნეტავი როგორ გადავიტან ყოველივე ამას..."

ფილიპე ბოცმანი, რომელმაც ჯანმრთელობა გერმანულ კატორღაში დაჰკარგა და სამშობლოში დაბრუნდა, ამბობს: „... სოფელ მირონოვკას გერმანიაში გასაგზავნად უნდა გამოეყვანა 20 ჭაბუკი და ქალიშვილი. ახალგაზრდებს ქუჩებში იჭერდნენ, ღამე ლოგინიდან მიჰყავდათ. ორჯერ მოვახერხე დამალვა, თავის დაღწევა, მესამედ კი დამიჭირეს. ვაგონში შემამწყვდიეს. სხვებთან ერთად ბერლინში მოვხვდი. ცავს, მაღალ ღობეშემოვლებულ ყაზარმაში რამდენიმე ასი კაცი შეგვრეკეს. გვეძინა ქვის იატაკზე. მე მოვხვდი ტრიკოტაჟის ფაბრიკაში, სადაც სამხედრო ტანსაცმელს ამზადებდნენ. მუშაობდნენ აქ ფრანგები, სამხედრო ტყვე პოლონელები, ესპანელები. ყველაზე უფრო ეჭვის თვალით და ჩაციებით გერმანელი ოსტატები და ზედამხედველები რუსებს გვეპყრობოდნენ. სულ მცირე რამისათვის გვცემდნენ. გვლანძღავდნენ. ვმუშაობდით თავაუღებლად, გაჩუმებულნი. სადილს საამქროშივე გვაძლევდნენ—ერთ ჯამ კარტოფილის ნაფცქვენის ცივ სუპს. პური ამ სადილისათვის უკვე აღარ გვრჩებოდა. მთელ 300 გრამ სუროგატ პურს დილასვე ვჭამდით. საღამოს ყაზარმაში მივერეკავდნენ. და ასე ყოველდღე. დაღლილობა, შიმშილი, სევდა. ერთმა ქალიშვილმა ორიოლის ოლქიდან, რომელსაც ზედამხედველმა სცემა, თავი ჩამოიხრჩო. ზოგიერთმა სცადა გაქცევა. მაგრამ ეს ძნელი იყო—გაგცემს პირველივე გერმანელი, რომელიც რუსად გიცნობს. გაქცეულთა დასაჭერად გერმანელები ძაღლებს იყენებენ. შიმშილმა და მძიმე შრომამ შეარყია ჩემი ჯანმრთელობა".

იმ არაადამიანურ პირობებს, რომელშიც დანაშაულებრივი ჰიტლერული მთავრობის მიერ ჩაყენებული არიან გერმანიაში გარეკილი საბჭოთა ადამიანები, რომელნიც მას განწირული ჰყავს სასიკვდილოდ, მოწმობენ არა მარტო მრავალრიცხვოვანი ოფიციალური გერმანული ბრძანებები და ინსტრუქციები და გერმანიიდან საბჭოთა მოქალაქეების მიერ გამოგზავნილი წერილები, არამედ გერმანელთა წერილებიც, რომლებიც მიწერილია გერმანიის არმიის საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მყოფი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისადმი.

გერმანელთა 221-ე ქვეითი დივიზიის მოკლულ გერმანელ ჯარისკაცს ვილჰელმ ბოკს უპოვნეს დედის წერილი, რომელიც გამოგზავნილია ხემნიციდან. წერილში ნათქვამია:

„ბევრი რუსი ქალი და ქალიშვილი მუშაობს „ასტრა ვერკეს" ფაბრიკებში. მათ 14 და მეტ საათს ამუშავებენ დღეში. რასაკვირველია, ისინი არავითარ ხელფასს არ იღებენ. სამუშაოზე და სამუშაოდან ისინი ბადრაგის თანხლებით დადიან. რუსები იმდენად მოქანცული არიან, რომ პირდაპირ ფეხზე ვეღარ დგებიან. მცველები მათ ხშირად სცემენ მათრახით. ცემისა და ცუდი საჭმლისათვის ჩივილის უფლება მათ არა აქვთ. ჩემმა მეზობელმა ქალმა ამას წინათ შეიძინა მუშა ქალი. მან ფული შეიტანა სალაროში და ნება მისცეს თავისი სურვილისამებრ აერჩია რომელიც უნდოდა რუსეთიდან სულ ან ცოტა ხნის წინათ აქ ჩამორეკილ ქალებში".

ჯარისკაც ელინ შილინგს სწერს ლოტა მელერი პუფენჰაუზენიდან 1942 წლის 10 აგვისტოს: „ამას წინათ აქ, პუფენჰაუზენში, რუსები გაჩნდნენ. საინტერესო ცხოვრება მოგველის: ერთ ჯიბეში ლექსიკონი, მეორეში კი რევოლვერი".

ათასობით საბჭოთა მოქალაქე ვერ იტანს მონობის ველურ პირობებს. ბანაკებში უდიდესი სიკვდილიანობაა.

გერმანელთა 32-ე ქვეითი დივიზიის მე-4 პოლკის მე-6 ასეულის ჯარისკაცს ოტტო ტესკს სწერს ფრიდა პუტცი დემინის ოლქის ალტენტრეპტოვთან მდებარე ჰიულტცედან, 1942 წლის 30 აპრილს:

„...ოთხშაბათს აქ კიდევ დაასაფლავეს ორი რუსი. აქ სასაფლაოზე უკვე ხუთი რუსია დასაფლავებული, და ორი უკვე სიკვდილის პირას არის. ან კი რა სასიცოცხლონი არიან, ყველანი უნდა დახოცო...".

გერმანიის დანაშაულებრივმა მთავრობამ მოაწყო მონებად გადაქცეულ საბჭოთა მოქალაქეების ყიდვა-გაყიდვა. მცირე ფასად, რაც 10-15 მარკას არ აღემატება თითო კაცში, ყოველ გერმანელს შეუძლია შეიძინოს მონები. გერმანიაში მონათა ბაზრებია დაწესებული. აქ, როგორც მონათმფლობელური წყობილების ხანაში, მონების მყიდველნი უსინჯავენ ხელებისა და ფეხების კუნთებს მონად გასაყიდ საბჭოთა მოქალაქეებს, უფრო ჯანმრთელ მონებში სცვლიან ულმობელი ექსპლოატაციით ქანცგამოლეულ მონებს.

უნტერ-ოფიცერ იოზეფ ვიკერტს, ს/ფ № 261.873, მისი ცოლი მარია ვიკერტი ფრანკვაილერიდან სწერს: „...მე შენთვის ჯერ

(დასასრული იხ. მე-2 გვ.).

# საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ვ. მ. მოლოტოვის ნოტა

(დასასრული)

არ მიცნობდა, რომ მივიღე შენი გამოგზავნილი 100 მარკა. მაშინვე გადავეცი დედაშენს, რომ ტყვეები ეყიდა. ეს ახლა არც ისე ძვირია".

. . .

ხო. ის აქ აპრილში ჩამოვიდა და სულ მუდამ ატირებული დადიოდა. თავი მოიკლა, ალბათ, სასოწარკვეთილების წუთში. ჩვენ ვამშვიდებდით ფრაუ როსტერტს, ხომ შეიძლება ახალი რუსი მუშა ქალი იაფად შეიძინოს".

IV

## ძალით წაყვანილი საბჭოთა მოქალაქეების არაადამიანური ექსპლოატაციისათვის დამნაშავე გერმანელ ხელისუფალთა და გერმანიის მოქალაქეთა პასუხისმგებლობა

ზემოხსენებული და იმ სხვა დოკუმენტალური მასალების საფუძველზე, რომლებიც თავის განკარგულებაში აქვს, საბჭოთა მთავრობას უდავოდ გამორკვეულად მიაჩნია, რომ გერმანიის ჰიტლერული მთავრობა ფეხით სთელავდა ხალხთა სრულიად ელემენტარულ უფლებებს და ადამიანის უფლებებს და სჩადიოდა და ახლაც სჩადის შემდეგს გაუგონარ დანაშაულს:

მოტყუების, მუქარისა და ძალდატანების გზით ერეკება მონებად გერმანიაში მრავალ ასიათას მშვიდობიან საბჭოთა მოქალაქეს, მათ შორის ბავშვებს, მოზარდებსა და ქალებს;

გარეკილ მშვიდობიან მოქალაქეთათვის ამყარებს უუფლებო მონებისა და აუტანელი შრომის რეჟიმს;

გერმანიაში სწარმოებს კერძო პირებისა და საწარმოებისათვის მონებად მიყიდვა საბჭოთა მოქალაქეებისა, რომელთაც ყოველნაირად ამცირებენ და სტანჯავენ, შიმშილსა და ტანჯვაში ნელ სიკვდილს განუმზადებენ.

საბჭოთა მთავრობა, უწინარეს ყოვლისა, ჰიტლერულ მმართველ ხროვას და გერმანელ ფაშისტთა არმიის სარდლობას აკისრებს სრულ პასუხისმგებლობას ყველა ამ საზიზღარი დანაშაულისათვის, რომლებითაც ისინი ომის წარმოების საყოველთაოდ მიღებულ წესებს უხეშად არღვევენ.

საბჭოთა მთავრობას აგრეთვე ყველა ჩა-

. . . პერიო მინისტრის" თანამდებობა უკავია.

ამავე დროს საბჭოთა მთავრობა სრულ პასუხისმგებლობას აკისრებს გერმანიის კერძო პირებსაც, რომელნიც მხეცურ ექსპლოატაციას უწევენ თავიანთ საწარმოებში ან თავიანთ შინაურ მეურნეობაში მშვიდობიან საბჭოთა მოქალაქეების მონურ შრომას. ამ კერძო პირებმა თავიანთ მხრივ პასუხი უნდა აგონ იმ უთვალავი ტანჯვისა და წამებისათვის, რაც მათ საბჭოთა ადამიანებს მიაყენეს.

გერმანელ ფაშისტ ხელისუფალთა მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა გამომძიებელი საგანგებო სახელმწიფო კომისია, რომელიც შექმნილია საბჭოთა კავშირში, სრულად და ზუსტად აღნუსხავს ყველა ფაქტს, რომლებიც შეეხება გერმანელთა მონებად საბჭოთა ადამიანების წაყვანას. საგანგებო სახელმწიფო კომისია სახელობით აღნუსხავს გერმანიაში მყოფ იმ ჰიტლერელ მოხელეებსა და კერძო პირებს, რომელნიც დამნაშავენი არიან გერმანულ ფაშისტურ მონობაში საბჭოთა ადამიანების მხეცური ექსპლოატაციისა და დაღუპვისათვის.

საბჭოთა მთავრობამ და სსრ კავშირის ხალხებმა კარგად იციან, რომ, საბჭოთა მოქალაქეებთან ერთად, ჰიტლერელების მიერ ოკუპირებული ევროპის ქვეყნების მილიონობით მშვიდობიანი ადამიანი ძალითა და მოტყუებით არის გარეკილი გერმანელ ფაშისტთა მონობაში. ყბად-აღებული „ტოტა-

. . .

ნათმფლობელთა მთავარი შთამგონებელი ალფრედ როზენბერგი, რომელსაც „ოკუპირებული აღმოსავლეთ ოლქების საქმეთა სამ- . . .

მიიღეთ და სხვ.

ვ. მოლოტოვი.

მოსკოვი, 1943 წ. 11 მაისი".

# ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის სახელობის ქარხნის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

თავდაცვითი პროდუქციის გადიდების დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის სახელობის ქარხანა დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1943 წლის 8 მაისი.

# ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის კალინინის სახელობის ქარხნის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

თავდაცვითი პროდუქციის წარმოების გადიდების დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის კალინინის სახელობის ქარხანა დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1943 წლის 8 მაისი.

# ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტალინის სახელობის ელექტრო-ქიმიური კომბინატის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

თავდაცვითი პროდუქციის წარმოების გადიდების დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტალინის სახელობის ელექტრო-ქიმიური კომბინატი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1943 წლის 8 მაისი.

# ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. დ. კოჭლამაზაშვილის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს ამხ. იოსებ დიმიტრის-ძე კოჭლამაზაშვილი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

12 მაისი, 1943 წ. ქ. თბილისი.

## ავიაციის მარშალს ა. ა. ნოვიკოვს გადაეცა მარშლის განმასხვავებელი ნიშანი „მარშლის ვარსკვლავი" და გენერალ-ლეიტენანტ დ. დ. ლელიუშენკოს, არტილერიის გენერალ-მაიორ ი. მ. ფედოროვს და გენერალ-მაიორ რ. პ. ბაბეიჩუკს—ორდენები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა 13 მაისს კრემლში მარშლის განმასხვავებელი ნიშანი „მარშლის ვარსკვლავი" გადასცა ავიაციის მარშალს ა. ა. ნოვიკოვს.

სუვოროვის 1-ლი ხარისხის ორდენი გადაეცა გენერალ-ლეიტენანტ დ. დ. ლელიუშენკოს, სუვოროვის მე-2 ხარისხის ორდენი — არტილერიის გენერალ-მაიორ ი. მ. ფედოროვს და კუტუზოვის მე-2 ხარისხის ორდენი—გენერალ-მაიორ რ. პ. ბაბეიჩუკს, რომლებიც დაჯილდოებული არიან საბრძოლო ოპერაციების უნარიანი და მამაცური ხელმძღვანელობისათვის და ამ ოპერაციების შედეგად გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში მიღწეული წარმატებებისათვის.

(საკდესი).

## ჩვენი ავიაციის თავდასხმები მოწინააღმდეგის რკინიგზის კვანძებსა, ავტოკოლონებსა და აეროდრომებზე

11 მაისს დღისით და ღამით ჩვენი ავიაციის დიდი ძალები თავს დაესხნენ რკინიგზის კვანძებსა და სადგურებს—დნეპროპეტროვსკს, პოლტავას, ბრიანსკს, ხარკოვს, ორიოლს, კრასნოგრადს, ლოზოვაიას, ბარვენკოვოს, მცენსკს, კარაჩევს, ლიუდინოვოს, იარცევოს და სხვებს. იმავე დროს ჩვენმა თვითმფრინავებმა დაბომბეს მოწინააღმდეგის ავტოკოლონები გზატკეცილებზე.

ჩვენი ავიაციის საბრძოლო მოქმედების შედეგად მოსპობილი და დაზიანებულია მოწინააღმდეგის დიდძალი სარკინიგზო ეშელონი და ავტომანქანები სამხედრო ტვირთიანად. რკინიგზის კვანძებზე დნეპროპეტროვსკში, პოლტავასა და ბრიანსკში მოხდა ძლიერი აფეთქება შემადგენლობებისა საომარ მასალიანად და სამხედრო საწყობებისა.

ჩვენმა ავიაციამ წარმატებით დაბომბა აგრეთვე გერმანელთა მთელი რიგი აეროდრომები.

## ჩვენი ავიაციის თავდასხმა ვარშავის რკინიგზის კვანძზე

12 მაისს ღამით ჩვენი შორი მოქმედების ავიაცია თავს დაესხა ვარშავის რკინიგზის კვანძს. დაბომბილ იქნა გერმანელთა ეშელონები და საომარი მასალებისა და საჭურვლის საწყობები, ვარშავისა და გარეუბან პრაღის (ვისლის მარჯვენა ნაპირზე) რკინიგზის სადგურების ლიანდაგები და სასადგურო ნაგებობანი. დაბომბვის შედეგად შემჩნეული იყო ეშელონებისა და სამხედრო საწყობების დიდი ხანძრები და ძლიერი აფეთქებანი. ჩვენს ავიაციას ზარალი არ მოსვლია.

## გერმანელთა თვითმფრინავების თავდასხმა ლისკის რკინიგზის სადგურზე

11 მაისს ღამით გერმანელთა ავიაცია თავს დაესხა ლისკის რკინიგზის სადგურს. მტრის თვითმფრინავებმა ჩამოჰყარეს ცეცხლგამჩენი და ფუგასური ბომბები. არის მცირეოდენი მსხვერპლი. სადგურის სარკინიგზო ნაგებობანი არ დაზარალებულან. თავდასხმის მოგერიებისას ჩამოგდებულია გერმანელთა 5 თვითმფრინავი. ჩვენს ავიაციას ზარალი არ მოსვლია.

# საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

## 12 მაისის საღამოს ცნობა

12 მაისის განმავლობაში ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები არტილერიის ინტენსიური ცეცხლით ანგრევდნენ მოწინააღმდეგის თავდაცვით ნაგებობებს. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 18 თვითმფრინავი. ჩვენ 5 თვითმფრინავი დავკარგეთ.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი არაფერი მომხდარა.

. . .

რის ქვეგანაყოფებმა, რომელთა მეთაურებიც არიან ამხ. სკრილოვი და ანდრიენკო, მოსპეს გერმანელთა 3 ქვემეხი, 6 ტყვიამფრქვევი, დაანგრიეს 10 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი. ნ ნაწილის სნაიპერებმა 3 დღის განმავლობაში 62 ჰიტლერელი გაჟლიტეს. სნაიპერმა გვარდიის . . .

. . . რომ მიიღეს, პატრიოტები პარტიზანებს შეუერთდნენ და მათთან ერთად გავიდნენ მთებში. სალონიკის რაიონში პარტიზანებმა მოაწყეს გერმანელთა ჯავშნიანი მატარებლის მარცხი. პირეის ნავსადგურში მუშათა ჯგუფმა ცეცხლი წაუკიდა იტალიის ნავთსასხმელ გემს.

## დაიწყო ჩაის ფოთლის კრეფა

მახარაძე („კომუნისტის" საკ. კორ.). პირველნი გავიდნენ ჩაის ფოთლის კრეფაზე სოფ. ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობისა და სოფ. სილაურის კოლმეურნეობის წევრები. ჩაის კრეფა დაიწყო აგრეთვე ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ. 12 მაისს მეურნეობამ ნასაკირალის ჩაის ფაბრიკას ჩააბარა 2.000 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი.

ჩაის კრეფის წინ აგრონომებმა მოაწყეს საუბრები მკრეფავებისათვის კრეფის წესების სასწავლებლად.

ლ. ლოლაძე

## თესვის გეგმების შესრულება

წითელწყაროს რაიონმა შარშანდელთან შედარებით 40 დღით ადრე დაამთავრა საგაზაფხულო თესვა. 10 მაისისათვის დათესილი იყო 13.640 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13.335 ჰექტარისა. გეგმა შესრულებულია 102,2 პროცენტით.

თესვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მდივანი შ. გელაშვილი

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. მირიანაშვილი

* * *

ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა. დათესილია 2.587 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.585 ჰექტარისა. გეგმის გადამეტებით დათესილია მრავალწლიან ნარგავებში გამოთესვით 800 ჰექტარი სიმინდი. მთლიანად შესრულებულია კარტოფილისა და სოიის თესვის სახელმწიფო გეგმა.

თესვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივანი შ. ჭანუყვაძე

ტყიბულის რაიონმა მარცვლეული კულტურების საგაზაფხულო თესვის გეგმა ვადაზე—10 მაისისათვის გადაჭარბებით შეასრულა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6.400 ჰექტარისა დათესილია 6.453 ჰექტარი—გეგმის 100,8 პროცენტი.

თესვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი ჯვებენავა

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე კასრაშვილი

* * *

წულუკიძის რაიონმა მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა 12 მაისისათვის 100,5 პროცენტით შეასრულა. დათესილია 6.834 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6.800 ჰექტარისა. კარტოფილის თესვის გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით. თესვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მდივანი გორგიძე

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ციბაძე

## „კომუნისტის" წერილების კვალდაკვალ

### „ყვარლის რაიონში არღვევენ აგროტექნიკის მოთხოვნებს"

ამ სათაურით 11 აპრილის „კომუნისტში" დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საგაზაფხულო ხვნა-თესვისას ვხვდებით აგროწესების დარღვევას სოფ. შილდის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში, სოფ. ყვარლის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში". ნათქვამი იყო აგრეთვე, რომ აგროტექნიკის მოთხოვნებს უხეშად არღვევენ ტრაქტორისტები სოფ. შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში, ადგილი აქვს ტრაქტორების მოცდენას.

საქ. კ. პ. (ბ) ყვარლის რაიკომის ბიურომ განიხილა ეს საკითხი და კორესპონდენციაში მოყვანილი ყველა ფაქტი სწორად სცნო. . . .

. . . იორდანაშვილი, კოლმეურნეობის ბრიგადირი ნ. ნიკოლოზიშვილი და აღმრიცხველი ა. მირიანაშვილი, რომლებმაც ნიადაგი ცუდი ხარისხით მოხნეს და შეადგინეს არასწორი აქტი, სადაც უჩვენეს, რომ ნიადაგი მოხნულია 20-22 სანტიმეტრის სიღრმეზე, როცა ფაქტიურად მოხნული იყო 10-15 სანტიმეტრის სიღრმეზე.

ყვარლის მტს-ის დირექტორმა მიიღო ზომები იმ ტრაქტორისტების მიმართ, რომლებმაც ცუდი ხარისხით მოხნეს ნიადაგი სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში.

პარტიული სასჯელი დაედო სოფ. შილდის . . .

. . . ტორო ბრიგადის ბრიგადირი ნ. მეტრეველი, ტრაქტორისტები ხუციშვილი, კაკუნაშვილი, . . .

აღნიშნული ნაკლოვანებანი უკვე გამოსწორებულია.

კ. თარგამაძე

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

# ზრუნვა სამშობლოს დამცველთა ოჯახებზე

საბჭოთა სახელმწიფო დიდ ზრუნვას იჩენს . . .

69 ოჯახმა მარტსა და აპრილში მიიღო ახა- . . .

ბევრი საწარმოს და კოლმეურნეობის კოლექტივები მზრუნველ დახმარებას უწევენ ქალებს საწარმოო ჩვევათა დაუფლებაში და კვალიფიკაციის შეძენაში.

თბილისის საწარმოებში ამჟამად მუშაობს ფრონტელთა ოჯახების ბევრი წევრი. ისინი . . .

უფრო მეტად უნდა გავაფართოოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული საბავშვო სახლების, ბაღებისა და ბაგების ქსელი, შესაძლებლობა მივცეთ კოლმეურნე ქალებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშა ქალებს იმუშაონ მინდვრად მაქსიმალუ- . . .

## საგაზაფხულო კულტურების თესვა

(საქმიწსახკომის 1943 წლის 10 მაისის ცნობებით)

| რაიონები | სულ დათესილია საგაზაფხულო კულტურები პროცენტობით | მათ შორის: მარცვლეული და პარკოსანი | კარტოფილი | თამბაქო |
|---|---|---|---|---|
| აფხაზეთის ასსრ | 55,6 | 74,3 | 52,3 | 5,7 |
| აჭარის ასსრ | 85,2 | 103,0 | 57,3 | 4,0 |
| სამხრეთ-ოსეთის ა. ო. | 83,2 | 86,2 | 53,8 | |
| აბაშა | 96,0 | 97,4 | | |
| ცხაკაია | 87,5 | 91,4 | | |
| გეგეჭკორი | 91,8 | 95,0 | | |
| ზუგდიდი | 95,4 | 100,5 | | |
| ხობი | 94,3 | 97,1 | | |
| წალენჯიხა | 102,3 | 102,5 | | |
| ჩხოროწყუ | 100,8 | 103,3 | | |
| მახარაძე | 100,6 | 100,4 | | |
| ლანჩხუთი | 72,2 | 88,7 | | |
| ჩოხატაური | 70,3 | 74,8 | 100,5 | — |
| ფოთი | 84,6 | 94,3 | | |
| ქუთაისი | 98,6 | 101,2 | 101,4 | |
| წყალტუბო | 100,2 | 100,1 | 86,7 | |
| სამტრედია | 88,9 | 97,2 | 100,0 | |
| წულუკიძე | 93,5 | 98,0 | 100,0 | |
| ვანი | 91,2 | 96,0 | 100,0 | |
| მაიაკოვსკი | 100,2 | 101,0 | 100,0 | |
| ზესტაფონი | 101,7 | 102,1 | 100,0 | |
| ჩხარი | 96,9 | 100,0 | 100,0 | |
| ჭიათურა | 100,2 | 101,1 | 100,0 | |
| საჩხერე | 102,4 | 102,3 | 96,0 | |
| ორჯონიკიძე | 101,7 | 101,4 | 121,4 | |
| ტყიბული | 99,9 | 100,8 | 97,1 | |
| ონი | 94,9 | 100,1 | 67,8 | |
| ამბროლაური | 100,1 | 100,4 | 96,6 | |
| ცაგერი | 97,8 | 98,0 | 82,5 | |

| რაიონები | სულ დათესილია საგაზაფხულო კულტურები პროცენტობით | მათ შორის: მარცვლეული და პარკოსანი | კარტოფილი | თამბაქო |
|---|---|---|---|---|
| ქვემო სვანეთი | 98,5 | 100,9 | 86,7 | |
| ზემო სვანეთი | — | — | — | |
| ახალქალაქი | 78,4 | 89,4 | 90,6 | |
| ბოგდანოვკა | 81,9 | 85,6 | 72,4 | |
| ახალციხე | 98,4 | 101,5 | 99,9 | |
| ადიგენი | 98,2 | 100,2 | 100,2 | |
| ასპინძა | 100,7 | 101,1 | 106,7 | |
| ხაშური | 100,4 | 104,8 | 96,7 | |
| ქარელი | 97,8 | 101,1 | 129,0 | |
| გორი | 95,8 | 101,9 | 106,7 | |
| კასპი | 97,0 | 101,3 | 100,0 | |
| ბორჯომი | 79,8 | 86,3 | 60,2 | |
| წალკა | 79,1 | 88,6 | 48,1 | |
| დუშეთი | 101,2 | 103,2 | 103,3 | |
| თეთრი წყარო | 87,2 | 87,8 | 85,6 | |
| თიანეთი | 61,1 | 63,6 | 99,2 | |
| ყაზბეგი | — | — | — | |
| გურჯაანი | 95,4 | 96,9 | 76,5 | 3,0 |
| სიღნაღი | 87,4 | 96,2 | 100,0 | 20,9 |
| წითელწყარო | 101,2 | 104,2 | 85,7 | |
| თელავი | 87,6 | 92,6 | 81,2 | |
| ყვარელი | 91,0 | 101,4 | 100,0 | 12,4 |
| ლაგოდეხი | 73,1 | 100,0 | 100,0 | 34,8 |
| თბილისი | 79,0 | 86,3 | 41,0 | |
| მცხეთა | 83,9 | 108,3 | 68,5 | |
| ყარაია | 81,9 | 106,3 | 110,5 | |
| ბორჩალო | 60,9 | 90,2 | 100,8 | 17,1 |
| ბოლნისი | 91,5 | 102,2 | 92,3 | 10,0 |
| საგარეჯო | 92,3 | 102,8 | 41,0 | |
| ბაშკიჩეთი | 75,0 | 75,7 | 100,2 | |

საქართველოს სსრ მიწსახკომში საანგარიშო ვადისთვის ცნობების წარმოუდგენლობის გამო ფოთის რაიონზე მოყვანილია 5 მაისის ცნობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

## 13 მაისის დილის ცნობა

12 მაისის ღამის განმავლობაში ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან. ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი არაფერი მომხდარა.

***

ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 6 შენაერთის არტილერისტებმა დაანგრიეს გერმანელთა 11 ძელმიწური საცეცხლე წერტი და 18 ბლინდაჟი, მოსპეს მოწინააღმდეგის 3 ხანაღმტყორცნო და 2 საარტილერიო ბატარია. სხვა უბანზე გერმანელები კონტრიერიშზე გადმოვიდნენ. ჩვენმა მებრძოლებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა კონტრიერიში და მოსპეს მოწინააღმდეგის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

***

ლისიჩანსკის რაიონში მოწინააღმდეგე გააფთრებული ბრძოლის შემდეგ შემოიჭრა ჩვენი ქვეგანაყოფების მიერ ამ დღეებში დაკავებული დასახლებული პუნქტის განაპირა უბნებში. ქუჩებში წარმოებულ შეუპოვარ შეტაკებებში საბჭოთა მებრძოლებმა მოჰქონდა გერმანელები, შემდეგ კი გადამწყვეტი იერიშით განდევნეს ისინი დასახლებული პუნქტიდან. ჩვენი ქვეგანაყოფნი დაედევნენ მოწინააღმდეგეს და დაიკავეს დიდი მნიშვნელობის მქონე მაღლობი. ამ ბრძოლაში მოსპობილია 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვედ ჩავიგდეთ მოწინააღმდეგის ბატალიონის შტაბი. წამოღებულია დავლა: ქვეითი ჯარის დიდძალი იარაღი, 6 რადიოსადგური და სხვა სამხედრო ქონება.

***

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა მზვერავმა რაზმებმა და სნაიპერებმა 200-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს. საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულია მტრის თვითმფრინავი „ფოკე-ვულფ-189“. სხვა უბანზე მოსპობილია მოწინააღმდეგის სათვალთვალო აეროსტატი.

***

კალინინის ფრონტზე 6 ნაწილის არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა 2 ქვემეხი, ააფეთქეს საომარი მასალების საწყობი და გაჰფანტეს მოწინააღმდეგის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. ჩვენი მზვერავები შეხვდნენ გერმანელ მზვერავთა რაზმს. ხელჩართულ შეტაკებაში საბჭოთა მებრძოლებმა მოსპეს 12 ჰიტლერელი. წამოყვანილია ტყვეები.

***

დონის როსტოვის დასავლეთით საარტილერიო სროლა სწარმოებდა. ჩვენი არტილერიის ცეცხლით დანგრეულია მოწინააღმდეგის 5 ბლინდაჟი, ჩახშობილია ერთი ხანაღმტყორცნო და 2 საარტილერიო ბატარიის ცეცხლი. ერთ უბანზე გერმანელებმა ბრძოლით დაზვერვა მოაწყეს. 6 ნაწილის მებრძოლები კონცენტრირებული ცეცხლით შეხვდნენ ჰიტლერელებს. მხოლოდ ითო-ოროლა გერმანელმა მოახერხა გაქცევით ეშველნა თავისათვის. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 60 გვამი.

***

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ააფეთქეს მოწინააღმდეგის 2 საწყობი საომარ მასალიანად, მოსპეს 7 ნაღმსატყორცნი, მათ შორის 2 ექვსლულიანი, 6 ტყვიამფრქვევი, გერმანელთა 12 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად. ქალაქის მისადგომებზე საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა ბომბდამშენი.

***

ლატვიელი პარტიზანების ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა სამხედრო ეშელონი, რომელიც ფრონტისაკენ მიდიოდა. ეშელონის მარცხის დროს დაიმსხვრა ორთქლმავალი, 7 ვაგონი ჯარებიანად და 9 პლატფორმა ქვემეხებიანად. მატარებელთა მოძრაობა რკინიგზის ამ უბანზე შეწყვეტილ იქნა. პარტიზანების მიერ ჩაწყობილ ნაღმებზე აფეთქდა გერმანელთა ავტომანქანა, რომელსაც ჯარისკაცები და ოფიცრები მიჰყავდა. მოკლულია 8 ჰიტლერელი. საბჭოთა პატრიოტების სხვა ჯგუფმა სროლა აუტეხა მსუბუქ ავტომანქანას და მოსპო ამ მანქანით მიმავალი გერმანელი ოფიცრები.

***

ბელგიელმა პატრიოტებმა მალინ-ლუვენისა და ნამიურ-გიუის რაიონებში ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა ეშელონი და 3 სატვირთო მატარებელი სამხედრო ტვირთიანად. გენტში თავისუფალი მსროლელნი თავს დაესხნენ გერმანელთა გარაჟს. პატრიოტებმა გაჟლიტეს მცველი რაზმი და მოსპეს 11 ავტომანქანა. ანტვერპენში თავისუფალმა მსროლელებმა გრანატების კონა ესროლეს გერმანელთა ყაზარმას. აფეთქებით მოკლული და დაჭრილია 14 ჰიტლერელი.

## 13 მაისის საღამოს ცნობა

13 მაისს განმავლობაში ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩვენი ჯარები საარტილერიო სროლას ეწეოდნენ მტერთან.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩვენმა არტილერისტებმა ჩაახშეს მტრის 54 სატყვიამფრქვევო წერტის, 19 საარტილერიო და 5 სანაღმტყორცნო ბატარიის ცეცხლი, დააზიანეს გერმანელთა 2 ტანკი და დაანგრიეს რამდენიმე ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი. საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 4 თვითმფრინავი.

ყუბანის ქვემო წელში ჩვენმა რაზმებმა უკანასკნელი დღეების განმავლობაში მოსპეს მტრის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მოიგერიეს მტრის რამდენიმე კონტრიერიში. მოსპობილია გერმანელთა 3 ტანკი და ორ ასეულამდე ჰიტლერელი. ტყვედ წამოყვანილია 50 გერმანელი ჯარისკაცი.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით კონტრბატარეული საარტილერიო და სანაღმტყორცნო სროლა იყო ორივე მხრივ. 6 ნაწილის არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა 5 ბლინდაჟი, ჩაახშეს 1 საარტილერიო და 2 სანაღმტყორცნო ბატარიის ცეცხლი. სხვა უბანზე მოსპობილია გერმანელთა მზვერავი რაზმი 60 კაცის რაოდენობით.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე ჩვენი არტილერისტები მტრის პოზიციებს უშენდნენ, დაანგრიეს 15 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, ჩაახშეს რამდენიმე საარტილერიო ბატარიის ცეცხლი, მოსპეს 6 ქვემეხი, 8 ტყვიამფრქვევი და ააფეთქეს მტრის 4 საწყობი საომარ მასალიანად. საბჭოთა მზვერავების ჯგუფი უეცრად შეიჭრა გერმანელთა სანგრებში და ხანმოკლე შეტაკებაში 15 ჰიტლერელი მოსპო.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა და სნაიპერებმა დახოცეს 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მებრძოლთა ჯგუფმა, უფროს ლეიტენანტ ამხ. ფედოროვის მეთაურობით, გადალახა მავთულხლართიანი დაბრკოლებანი და გერმანელთა სანგრებში შეიჭრა. ხელჩართულ შეტაკებაში ჩვენმა მებრძოლებმა 70 გერმანელი ჯარისკაცი მოსპეს და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

სუმის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი უეცრად დაესხა თავს გერმანელთა სადამსჯელო ექსპედიციას და 35 ჰიტლერელი გასწყვიტა. გარდა ამისა, პარტიზანებმა დასწვეს გერმანელთა ჯავშნიანი მანქანა და 3 სატვირთო ავტომანქანა. პარტიზან ამფეთქებელთა ჯგუფებმა 8 მაისს ლიანდაგიდან გადააგდეს მტრის 2 სამხედრო ეშელონი. დამტვრეულია 2 ორთქლმავალი და 23 ვაგონი.

* * *

ჰიტლერელების მიერ გერმანიის კატორღაში ძალით გარეკილი საბჭოთა ადამიანები იტანჯებიან გერმანელ ფაშისტთა ტყვეობაში. მშობლებისადმი გამოგზავნილ წერილში თამარ ნ. სწერს: „ჩემო ძვირფასო დედიკო და მამიკო! რომ იცოდეთ, როგორ ვიტანჯები უცხო ქვეყანაში. მე მიწას ვეზიდები ურიკით წვიმაშიც და ავდარშიც. ერთხელ მეპატრონეს ვუთხარი, წვიმს და უნდა მოვიცადო-მეთქი, მან კი მცემა. მამიკო და დედიკო! ჩვენ აქ შიმშილით გვხოცავენ. ერთხელ სამუშაოდან დავბრუნდი და კომენდანტმა სრულიად უდანაშაულოდ მცემა. ისე მცემა, რომ წყლით მომაბრუნეს. ჩივილითაც ვერავისთან იჩივლებ. არ მეგონა და არც მოველოდი, რომ ასეთი წამების გადატანა მომიხდებოდა. ფრთები რომ მქონდეს, სამშობლო მხარეში გადმოვფრინდებოდი. მწარეა ტყვეობაში ცხოვრება. ჩაკეტილებს გვძინავს. ვმუშაობთ დილის 7 საათიდან დაღამებამდე. ისე ვიღლები, რომ ფეხზე დგომა არ შემიძლია. არ ვიცი, ჩვენგანი ვინ დარჩება ცოცხალი“.

* * *

გერმანელთა საოკუპაციო ხელისუფლებამ ჰოლანდიაში ჰოლანდიის არმიის ყველა ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს დაავალეს შესაკრებ პუნქტებში გამოცხადებულიყვნენ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში გასაგზავნად. ამ განკარგულებამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია ჰოლანდიაში. ჰოლანდიის ბევრ რაიონში გაფიცვებმა იფეთქეს. არნჰემში გემთსაშენების მუშებმა დაუმთავრებელი გემი ჩასძირეს. უტრეხტში რკინიგზელებმა მწყობრიდან გამოიყვანეს 5 ორთქლმავალი და 4 ჰიტლერელი მოჰკლეს. ამსტერდამში მუშებმა მოსპეს გერმანელთა საწყობები საწვავიანად და საფეიქრო ნაწარმოებებიანად. როტერდამში სტუდენტთა ჯგუფმა 7 გერმანელი მოჰკლა და საზენიტო ქვემეხი მოსპო.

# დეპეშები

### ტუნისში ბრძოლა დამთავრდა.

**ლონდონი,** 13 მაისი (საკდესი). ჩრდილოეთ აფრიკაში მყოფი მოკავშირეთა შტაბი იუწყება, რომ 12 მაისს მთელი დილის განმავლობაში მოწინააღმდეგე კიდევ განაგრძობდა შეუპოვარ წინააღმდეგობას მე-8 არმიის მთელ ფრონტზე და კონტრიერიშებიც კი მოჰქონდა მებრძოლი საფრანგეთის პირველი დივიზიის წინააღმდეგ. ამ დივიზიამ, რომელმაც სამი უკანასკნელი დღის განმავლობაში ადგილობრივი წარმატებით წინსვლა განახორციელა, მტრის ყველა იერიში მოიგერია. მტრის წინააღმდეგობა ზაგჰუანის რაიონში გატეხილია და 11-12 მაისს ფრანგთა ჯარებმა აქ ტყვედ წამოიყვანეს 22.000-ზე მეტი კაცი. ინდოეთის მე-4 დივიზიამ სენტ-მარი-დიუ-ზიტის მახლობლად ტყვედ ჩაიგდო იტალიელ-გერმანელთა ჯარების მთავარსარდალი გენერალი ფონ არნიმი. 12 მაისს მოკავშირეთა ბომბდამშენი ავიაციის ძლიერმა იერიშმა, რაც მიტანილი იყო 15 საათსა და 50 წუთზე მტრის ჯარების წინააღმდეგ, რომლებიც გარშემორტყმული იყვნენ სანაპირო სექტორში ენფიდავილის ჩრდილოეთით, ბოლოსდაბოლოს აიძულა მტრის პირველი არმია გამოეგზავნა შეკითხვა დანებების პირობების შესახებ. მე-7 ჯავშანსატანკო დივიზიის ქვეგანაყოფები, რომლებიც ჩრდილოეთიდან მოდიოდნენ, ინგლისის მე-8 არმიას შეუერთდნენ. ეს გახდა მტრის ყოველგვარი ორგანიზებული წინააღმდეგობის დასასრული. კიდევ გასაწმენდია მტრისაგან მცირე იზოლირებული „ბუდეები“. მოკავშირეთა ჯარებს კვლავ დიდძალი ტყვე მოჰყავთ. როგორც უკვე ვიუწყებოდით, 5 მაისიდან წამოყვანილ ტყვეთა საერთო რიცხვი სულ ცოტა 150.000 კაცს აღწევს.

### შესწყდა ღერძის სახელმწიფოთა ჯარების წინააღმდეგობა ტუნისში

**ლონდონი,** 13 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ოფიციალურ ცნობას იმის შესახებ, რომ იტალია-გერმანიის ჯარებმა ტუნისში შესწყვიტეს შეიარაღებული წინააღმდეგობა 12 მაისს 20 საათსა და 15 წუთზე.

### გენერალ ფონ არნიმი წაყვანილია ტყვედ

**ლონდონი,** 12 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გერმანია-იტალიის ჯარების მთავარსარდალი ტუნისში გენერალ-პოლკოვნიკი ფონ არნიმი წამოყვანილია ტყვედ.

### ფონ არნიმის დატყვევების გარემოებანი

**ლონდონი,** 13 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი, რომელიც ინგლისელთა პირველ არმიასთან იმყოფება ტუნისში, იუწყება, რომ გენერალ-პოლკოვნიკი ფონ არნიმი ტყვედ წამოიყვანეს ინდოეთის მეოთხე დივიზიის ნაწილებმა. თავის დატყვევებამდე მან პარლამენტიორები გაუგზავნა გენერალ ანდერსონს შეკითხვით კაპიტულაციის პირობების შესახებ. მაგრამ სწორედ ამ დროს მისთვის მოულოდნელად იგი ტყვედ ჩაუვარდა თავის შტაბში სენტ-მარი-დიუ-ზიტში ინდოეთის დივიზიის ნაწილს, რომელმაც სწრაფად წაიწია წინ.

გუშინ საღამოს ინგლისის მე-8 არმიის ნაწილებმა ტყვედ ჩაიგდეს იტალიელთა ჯარების სარდალი სამხრეთ ტუნისში გენერალი მესე.

### ტუნისში 5 მაისიდან ტყვედ წაყვანილია 150.000 კაცი

**ლონდონი,** 13 მაისი (საკდესი). ალჟირის რადიომ 12 მაისს საღამოს გადასცა ჩრდილოეთ აფრიკის მოკავშირეთა ძალების შტაბის სპეციალური კომუნიკე, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ 5 მაისიდან წამოყვანილ ტყვეთა საერთო რიცხვი 150.000 კაცს შეადგენს. წამოღებულია საარტილერიო ქვემეხთა და სხვადასხვა საომარი საჭურვლის უდიდესი რაოდენობა, მათ რიცხვში ბევრი ვარგისი ქვემეხი და თვითმფრინავი.

**ლონდონი,** 13 მაისი (საკდესი). ჩრდილოეთ აფრიკის მოკავშირეთა შტაბიდან რეიტერის სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტების მიერ გამოგზავნილი ცნობით, ტყვეთა შორის არის კიდევ 2 გერმანელი გენერალი—90-ე მსუბუქი ქვეითი დივიზიის მეთაური და მე-10 ჯავშანსატანკო დივიზიის მეთაური. ფონ არნიმთან ერთად ტყვედ წამოყვანილია 11 გერმანელი და იტალიელი გენერალი.

### ედენის განცხადება ჩრდილოეთ აფრიკაში კამპანიის დამთავრების შესახებ

**ლონდონი,** 13 მაისი (საკდესი). ინგლისის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ედენმა დღეს თემთა პალატაში ოფიციალურად განაცხადა ჩრდილოეთ აფრიკაში კამპანიის დამთავრების შესახებ. განაგრძო, სთქვა ედენმა, უფრო მალე დადგა და უფრო სრული აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ ვვარაუდობდით. გენერალი არნიმი და მთელი მისი ჯარები, გარდა რამდენიმე მცირე იზოლირებული ჯგუფისა, დაგვნებდნენ. ტყვეთა რიცხვი 150.000 კაცს აღემატება და ჩვენ ხელში ჩაგვივარდა დიდძალი საჭურველი—1.000-ზე მეტი ქვემეხი, 250 ტანკი და რამდენიმე ათასი ავტომანქანა.

ამნაირად, ერთ კვირაზე ნაკლები ხნის განმავლობაში კარგ პოზიციებზე ძლიერ გამაგრებული დიდი არმია არა მარტო დამარცხებულია, არამედ სავსებით მოსპობილიც არის. აფრიკის კონტინენტი სავსებით გაწმენდილია ყოველგვარი ნაცისტური და ფაშისტური სენისაგან.

ეს კამპანია, რომლის მსვლელობაშიც მტერი უკუგდებულ იქნა 2.700 კილომეტრზე კონტინენტით და რომელიც დამთავრდა უდიდესი ბრძოლით და მტრის მძლავრი არმიის სრული მოსპობით, ისტორიაში შევა, როგორც დიდებული საგმირო საქმე.

შემდეგ ედენმა სთქვა: ჩრდილოეთი აფრიკა ჩვენია. მაგრამ მისი დაკავება თვითმიზანი როდია. იგი სრულ წარმოადგენს საჭირო რაიონს, რომელიც უნდა დავიცვათ, არამედ მოწინავე ბაზას, საიდანაც სათანადო მომენტში დაწყებული იქნება ახალი იერიშები ღერძის სახელმწიფოთა წინააღმდეგ იმისათვის, რომ თავის დროზე ჰიტლერი, გერმანელი გენერლები მსგავსად ტუნისში, იძულებული იქნენ გაერთიანებული ერების დარტყმების შედეგად უსიტყვო კაპიტულაციას დათანხმდნენ.

### ახლო აღმოსავლეთის ინგლისის სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელ მოღვაწეთა თათბირი

**ლონდონი,** 12 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ კაიროში სწარმოებს ყველა ახლოაღმოსავლეთური ქვეყნის ინგლისის სარდლებისა და ბრიტანეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა თათბირი.

### ინგლისის ბომბდამშენების თავდასხმა დუისბურგზე

**ლონდონი,** 13 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 12 მაისს ღამით ინგლისის ავიაციამ მოახდინა ომის განმავლობაში ყველაზე უფრო დიდი თავდასხმა დუისბურგზე. ოპერაციის შედეგები საუცხოოა. 34 თვითმფრინავი ბაზებში არ დაბრუნებულა.

### ჩერჩილი ვაშინგტონში

**ლონდონი,** 13 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო ვაშინგტონიდან გადმოგვცემს, რომ ინგლისისა და ამერიკის გენერალური შტაბების მოლაპარაკება 13 მაისის დილამდე გრძელდებოდა. დღეს ჩერჩილისა და რუზველტის მოლაპარაკების გაგრძელებაა. ჩერჩილი რამდენ ხანს დარჩება ვაშინგტონში, ამის შესახებ არ იტყობინებიან, მაგრამ ფიქრობენ, რომ იგი იქ რამდენიმე დღეს დარჩება, მით უმეტეს, რომ კანადის პრემიერ-მინისტრმა მაკენზი კინგმა განაცხადა თავისი განზრახვის შესახებ—ვაშინგტონს ჩავიდეს მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად.

### ჩერჩილის წერილები ეიზენჰაუერისა, ალექსანდერისა და ტედერისადმი

**ლონდონი,** 12 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ჩერჩილმა წერილებით მიმართა გენერლებს ეიზენჰაუერს, ალექსანდერს და ავიაციის მარშალ ტედერს.

ჩერჩილი უერთდება მილოცვას, რომელიც გენერალ ეიზენჰაუერს მეფემ და სამხედრო კაბინეტმა გაუგზავნეს ჩრდილოეთ აფრიკის კამპანიის ბრწყინვალე შედეგების გამო, და აცხადებს, რომ აფრიკაში მოპოვებული გამარჯვების საფუძველს წარმოადგენდა საუცხოო ურთიერთგაგება და ჰარმონია ინგლისელ და ამერიკელ ჯარისკაცებსა და ფრანგ მოკავშირეთა შორის. „ინგლისელთა და ამერიკელთა არმიების ერთდროულად შესვლა ტუნისსა და ბიზერტაში,—ნათქვამია წერილში,—სასიხარულო იმედებს უქადის მთელი მსოფლიოს მომავალს. დაე შემდგომშიც ისინი ერთად მოქმედებდნენ და ანადგურებდნენ ტირანებს და კაცობრიობის მჩაგვრელებს“.

გენერალ ალექსანდერისადმი გაგზავნილ წერილში ჩერჩილი აცხადებს: „თქვენ და თქვენმა ბრწყინვალე თანაშემწემ მონტგომერიმ სახელოვანი ფურცელი ჩასწერეთ ერთა ბრიტანული თანამეგობრობისა და ბრიტანეთის იმპერიის ისტორიაში“.

წერილში ავიაციის მარშალ ტედერისადმი ჩერჩილი აღნიშნავს მოკავშირეთა საჰაერო ძალების ბრწყინვალე ოპერაციებს.

### მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმები მარსალასა და პანტელერიაზე

**ლონდონი,** 12 მაისი (საკდესი). ჩრდილოეთ აფრიკის მოკავშირეთა შტაბის სპეციალურ კომუნიკეში ნათქვამია, რომ გუშინ დღისით მოკავშირეთა დიდძალი ბომბდამშენები ასზე მეტი ავიაგამანადგურებლის თანხლებით თავს დაესხნენ მარსალის ნავსადგურს (სიცილია). თავდასხმის შედეგად გაჩნდა დიდი ხანძრები, რომელთა შემჩნევა შეიძლებოდა ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროდან. ამავე დროს კუნძულმა პანტელერიამ მეექვსე საჰაერო იერიში განიცადა ოთხი უკანასკნელი დღის განმავლობაში.

### რუზველტის განცხადება საავიაციო წარმოების შესახებ ა. შ. შტატებში

**ვაშინგტონი,** 12 მაისი (საკდესი). რუზველტმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ა. შ. შტატები ამჟამად უფრო მეტ თვითმფრინავს უშვებენ, ვიდრე ერთად აღებული ყველა დანარჩენი ქვეყანა. იმ თვითმფრინავთა საერთო წონა, რომლებსაც წელს ა. შ. შტატები გამოუშვებენ, 911 მილიონ გირვანქას შეადგენს. ეს 824 მილიონი გირვანქით მეტია 1941 წელს გამოშვებული თვითმფრინავების წონაზე და 620 მილიონი გირვანქით მეტი 1942 წელს დამზადებული თვითმფრინავების წონაზე. რუზველტმა გამოსთქვა ვარაუდი, რომ მომავალ წელს ა. შ. შტატები გამოუშვებენ 1.417 მილიონი გირვანქა საერთო წონის თვითმფრინავებს.

### ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ბენეში ა. შ. შტატებში გაემგზავრა

**ლონდონი,** 12 მაისი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ვაშინგტონს ჩავიდა, როგორც რუზველტის სტუმარი, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ბენეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ

(დასასრული)

არ მიცნობებია, რომ მივიღე შენი გამოგზავნილი 100 მარკა. მაშინვე გადავეცი დედაშენს, რომ ტყვეები ეყიდნა. ეს ახლა არც ისე ძვირია".

უფროს ეფრეიტორ ფრანც კნაპეს, ს/ფ № 08.999, სწერს ცოლი რუტ კნაპე ანჰალტში მდებარე გრუმიდან: „...უკრაინელი ალარა მყავს... მას არაფრის გაგონება არა სურდა და საშინელი ზარმაცი იყო. ახლა ის ჰერბერტთან არის. ჩვენ გვინდოდა გვენახა, გამოდგებოდა თუ არა ის უფრო დიდ მეურნეობაში, მაგრამ ის იქაც ისეთივეა. ეს ტელეფონით ვაცნობე შრომის ბიუროს. მაგრამ როდის ჩამოვა ახალი ტრანსპორტი, მათ ვერ მითხრეს. ჰერბერტს ის ჯერჯერობით ჰყავს, შემდეგ კი გადასცვლის".

მონათმფლობელთა ხელში საბჭოთა მოქალაქენი არაადამიანურ სისასტიკესა და ექსპლოატაციას განიცდიან. საბჭოთა მოქალაქეებს ღამით ცივ საკუჭნაოებსა და ფარდულებში ამწყვდევენ. მათ ნახევრად მშივრებს ამყოფებენ და აუტანელი მუშაობით აწამებენ. საბჭოთა ადამიანებს აბუჩად იგდებენ, ყოველნაირად ახშობენ მათში ადამიანურ ღირსებას. 16 წლის ქალიშვილი ვალია დემუშკინა ნიურნბერგიდან სამშობლოში დაბრუნდა. მან განაცხადა: „მე გერმანელ ქალთან ვმუშაობდი. მისი ქმარი, ობერლეიტენანტი კარლ შტოკი მოკლულ იქნა აღმოსავლეთის ფრონტზე, სტალინგრადთან. 1943 წლის 1 იანვარს ფრაუ შტოკს საახალწლო სადილზე სტუმრები უნდა სწვეოდნენ. მუშაობითა და ჩემი ნაღვლიანი ფიქრებით გართულმა, ვერ შევამჩნიე, თუ როგორ ადუღდა და ელექტროფილაქურაზე დაიღვარა რძე, რომელიც მზარეული ქალის მიერ იყო დადგმული, სამზარეულოს მძუთრის სუნი მოედო. გააფთრებული ქალბატონი შემოვარდა სამზარეულოში, ხელიდან გამომგლიჯა კარდალი და პირზე შემომასხა იქ დარჩენილი რძე. მე ცნობიერება დავკარგე. გონს მოვედი საავადმყოფოში და ვიგრძენი აუტანელი ტკივილი და წყვდიადი. მე დავბრმავდი. სამ კვირას ვიწექი საავადმყოფოში და შემდეგ დიდხანს მოვდიოდი ფარულად უკან, სამშობლოსაკენ".

ნადია ს., 16 წლისა, ვოროშილოვგრადის ოლქის ერთი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე, სწერს: „გერმანელებმა თითქმის მთელი ჩვენი ახალგაზრდობა ძალით წაიყვანეს კატორღულ სამუშაოებზე გერმანიაში. გამგზავრების წინ ვაგზალში კვნესა და ტირილი იყო. ტიროდნენ წამსვლელნი და გამცილებელნი. მე და კიდევ 16 ქალიშვილი ქალაქ შვაცში გაგვგზავნეს. აქ პირდაპირ ვაჭრობდნენ რუსი ადამიანებით. გერმანელი კაცები და ქალები ყოველმხრივ შემოგვაბრუნებდნენ, გვზომავდნენ და ხელით გვსინჯავდნენ. მე მიყიდა მეფუნთუშე კარლ ვ-მ. ის მაიძულებდა დილის 6 საათიდან გვიან ღამემდე მემუშავნა. თუმცა მეფუნთუშესთან ვცხოვრობდი, მაგრამ პურს იშვიათად ვჭამდი. ყოველდღე ვრეცხდი იატაკს, დილითა და საღამოთი ვრეცხდი სარეცხს, ვუვლიდი ბავშვებს, ვაცმევდი მათ. ფრაუ არც ისე ავი იყო—ხელს მკრავდა, მჩქმეტდა, ან თავში ჩამარტყამდა, მაგრამ არც ისე მტკივნეულად. მხოლოდ მწყინდა, როცა გამახსენდებოდა, რომ ვსწავლობდი მერვე კლასში, ვსწავლობდი ფრანგულ ენას, ისტორიას, აქ კი თვითონ გავხდი მონა, როგორც რომის მფლობელობის პერიოდში იყო. აუტანელი შრომისა, შიმშილისა და ცემისაგან ავად გავხდი. ცოტა რომ მოვკეთდი, სამშობლოსაკენ გამოვიქეცი. ბრესტ-ლიტოვსკში შემიპყრეს და საკონცენტრაციო ბანაკში დამამწყვდიეს. ამ ბანაკში, ნახევრადდანგრეულ ფარდულებში, ათასობით საბჭოთა მოქალაქე იტანჯებოდა. ბანაკიდან ყოველდღე 10-15 გვამი გაჰქონდათ..."

გერმანელი მონათმფლობელნი ხშირად აშკარად იკვეხნიან, რომ ისინი მხეცურად ეპყრობიან საბჭოთა ადამიანებს. მოიჯარადრე ლორენს შპეერი სწერს თავის სიძეს, ჯარისკაც იოზეფ შპეერს: „ჩვენსას ახლა მუშაობს უკრაინელი ქალიშვილი 19 წლისა. ფიქრი ნუ გაქვს—ის იმუშავებს. კვირას სოფელში კიდევ 20 რუსი ჩამოვა. მე კიდევ რამდენიმე ცალს ავიყვან..."

გერმანელთა მე-7 ქვეითი დივიზიის ეფრეიტორმა ვილჰელმ ჰაუსმანმა დედის წერილი მიიღო შვაიჰაუზენიდან: „ჩვენს სარძეო ფერმაშიც არის 6 რუსი. მათ ღამით იქ ამწყვდევენ. მათ შორის არიან 14-15 წლის ჭაბუკები. ფიქრი ნუ გაქვს—ისინი შესძლებენ მუშაობას".

81-ე ქვეითი დივიზიის 187-ე პოლკის მე-8 ასეულის ლეიტენანტ ჰერგარტ შპლეტს ფრაუ სუზი კრამერი ტეპლიც-შენაუდან (სუდეტის ოლქი) 1942 წლის 12 ივლისს სწერს: „ჩვენ 10 რუსი უნდა გამოგვიგზავნონ ლუდსახდელ ქარხანაში. მე კი ვაიძულებ ამ ბანდას დატრიალდეს. ყველაფერზე უფრო ხალისიანად გავწყვეტდი ყველა რუსს".

ათასობით საბჭოთა მოქალაქე, გერმანელთა მონებად ძალით გარეკილი, იღუპება შიმშილისა, სიცივისა, აუტანელი შრომისა და წამებისაგან. ცოტა საბჭოთა მოქალაქემ როდი მოიკლა თავი, მონათმფლობელთა მხრივ მხეცური მოპყრობით სასოწარკვეთილებამდე მიყვანილმა. გერმანელთა წერილებში არის მრავალი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ხშირად საბჭოთა ადამიანები ამჯობინებენ დაიხოცონ, ვიდრე გერმანელთა მონები იყვნენ. აი წერილი, რომელიც აღმოაჩნდა 121-ე ქვეითი დივიზიის 405-ე პოლკის ობერეფრეიტორს, ლენინგრადთან მოკლულ რუდოლფ ლამერმაიერს. ეს წერილი მოწერილია მისი დედის მიერ დაბა ლიუგდედან:

„გუშინ დილით ჩვენთან მოირბინა ანალიზა როსტერტმა. ის ძალზე გაბრაზებული იყო. მათსას საღორეში თავი ჩამოიხრჩო რუსმა გოგომ. ჩვენი პოლონელი მუშა ქალები ამბობდნენ, ფრაუ როსტერტი სულ მუდამ სცემდა და ლანძღავდა რუს ქალიშვილსო. ის აქ აპრილში დამ აცრემლებული ალბათ სასოწარკვეთ...

### ძალით წაყვ... ექსპლოატაცი... და გ...

ზემოხსენებული დ...
ლური მასალების ...
თავის განკარგულებ...
რობას უდავოდ გან...
გერმანიის ჰიტლერ...
სთელავდა ხალხთა ...
უფლებებს და ადამ...
დიოდა და ახლაც ...
ნარ დანაშაულს:

მოტყუების, მუქ...
გზით ერეკება მონ...
ასიათას მშვიდობი...
მათ შორის ბავშვე...
ლებს;

გარეკილ მშვიდობ...
ყარებს უუფლებო ...
შრომის რეჟიმს;

გერმანიაში სწარმ...
საწარმოებისათვის ...
თა მოქალაქეებისა,
ამცირებენ და ს...
ტანჯვაში ნელ სიკ...
საბჭოთა მთავრობ...
ჰიტლერულ მმართვ...
ფაშისტთა არმიის ...
სრულ პასუხისმგებლ...
რი დანაშაულისათვ...
ომის წარმოების ...
წესებს უხეშად არღ...
საბჭოთა მთავრობ...
მოთვლილი დანაშ...
ხისმგებლად მიაჩნია...
მოხელე, რომელნიც...
ქვეყნიდან გერმანია...
ჭოთა მშვიდობიანი ...
ბას, წაყვანას, გად...
წყვდევას, მონებად ...
ნურ ექსპლოატაცია...
საბჭოთა მთავრობას...
სტიკად, როგორც ...
მეთაურებმა, პასუხი...
ვე მხილებულმა ...
არის „მუშახელის ...
რწმუნებული" ზაუკ...
და ჰიტლერის მ...
საბჭოთა მიწებზე: „...
ერიხ კოხი, „ოსტ...
(ლიტვის, ლატვიის, ...
რუსიის საბჭოთა ...
რიები) ჰეინრიხ ლო...
„ბელორუსიის გენერ...
ჰელმ კუბე, აგრეთვ...
ნათმფლობელთა მთა...
ფრედ როზენბერგი, ...
ბული აღმოსავლეთ ...

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის საკ. ქ. პ. (ბ) XVIII ყრილობის სახელობის ქარხნის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

თავდაცვითი პროდუქციის გადიდების დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის საკ. ქ. პ. (ბ) XVIII ყრილობის სახელობის ქარხანა დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი, 1943 წლის 8 მაისი.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის კალინინის სახელობის ქარხნის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

თავდაცვითი პროდუქციის წარმოების გადიდების დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის კალინინის სახელობის ქარხანა დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი, 1943 წლის 8 მაისი.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტალინის სახელობის ელექტრო-ქიმიური კომბინატის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

თავდაცვითი პროდუქციის წარმოების გადიდების დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტალინის სახელობის ელექტრო-ქიმიური კომბინატი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი, 1943 წლის 8 მაისი.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. ი. დ. კოჭლამაზაშვილის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. იოსებ დიმიტრის-ძე კოჭლამაზაშვილი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. სტურუა**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი**

12 მაისი, 1943 წ. ქ. თბილისი.

### ავიაციის მარშა... „მარშლის ... არტილერ...

სსრ კავშირის უმა...
მის თავმჯდომარემ ...
მაისს კრემლში მა...
ნიშანი „მარშლის ვ...
ციის მარშალს ა. ა...
სუვოროვის 1-ლი ...
ცე გენერალ-ლეიტე...
კოს, სუვოროვის მე...
არტილერიის გენერ...

### ჩვენი ავი... კვანძ...

11 მაისს ღამით ...
ციის დიდი ძალებ...
გზის კვანძებსა დ...
ტროვსკს, პოლტავა...
ორიოლს, კრასნოგრ...
ვენკოვოს, მცენსკს, ...
იარცევოს და სხვ...
თვითმფრინავებმა ...
ავტოკოლონებს გზა...
ჩვენი ავიაციის ...

### ჩვენი ავი...

12 მაისს ღამით ...
ავიაცია თავს დაეს...
კვანძს. დაბომბილ ...
ნები და სამხარი ნ...
საწყობები, ვარშავი...
(ვისლის მარჯვენა ...

### გერმანელთა ...

11 მაისს ღამით ...
დაესხა ლისკის რკი...
თვითმფრინავებმა ჩ...
და ფუგასური ბომბ...

**კ. თარგამაძე**

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

# ზრუნვა სამშობლოს დამცველთა ოჯახებზე

საბჭოთა სახელმწიფო დიდ ზრუნვას იჩენს სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებზე. ამ ოჯახების დახმარებითა და პენსიით უზრუნველსაყოფად ასიგნებულია დიდი სახსრები. სამამულო ომის მანძილზე, საქართველოში სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს მიეცათ დახმარება 300 მილიონი მანეთის რაოდენობით.

სამშობლოს დამცველთა ოჯახებისადმი დახმარების პატრიოტულ საქმეში საქართველოს მშრომელნი ფართო მონაწილეობას იღებენ. „წითელი არმიისა და წითელი ფლოტის მებრძოლთა და მეთაურთა ოჯახებისადმი დახმარების კვირეულის" განმავლობაში, რომელიც ამას წინათ ჩატარდა, სამხედრო მოსამსახურეთა მრავალ ოჯახს აღმოეჩინა დახმარება ტანისამოსის, ფეხსაცმლის, სურსათის, შეშის, ნახშირის, ნავთის და სხვ. შეძენაში.

სამხედრო მოსამსახურე კოლმეურნეთა იმ ოჯახებს, რომლებსაც თავისი პირუტყვი არა ჰყავთ, მიეცათ 139 დეკეული, 5 ძროხა, 59 ცხვარი და თხა, 177 ფრთა ფრინველი, ხოლო ვისაც პირუტყვი ჰყავს, მიეცა საკვები 125 ათასი ფუთის რაოდენობით. გარდა ამისა, სამხედრო მოსამსახურეთა ხელმოკლე ოჯახებს გაეწიათ ერთდროული ფულადი დახმარება 500.000-ზე მეტი მანეთის რაოდენობით.

დიდ, მრავალმხრივ მუშაობას ეწევიან საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის სამმართველო და ავტონომიურ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებთან და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან არსებული შესაბამისი განყოფილებანი. ისინი სისტემატურად ეწევიან ყველა შესაძლებლობათა გამოვლინებას და მობილიზაციას ფრონტელთა ოჯახებისადმი დახმარების გასაძლიერებლად.

რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში გახსნილია ფეხსაცმლის შესაკეთებელი სახელოსნოები, აგრეთვე მაღაზიები სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის საქონლის მისასყიდად. მარტო ქალაქ თბილისში აპრილში გაიხსნა ფეხსაცმლის შესაკეთებელი 14 სახელოსნო და 7 მაღაზია. მაისში დამატებით გაიხსნება კიდევ 3 მაღაზია. თბილისში ყოველთვიურად სწარმოებს 5.200 წყვილი ფეხსაცმლის შეკეთება. იმ მაღაზიებში, რომლებიც მომსახურებას უწევენ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს, აპრილში რეალიზებულია 1.148.700 მანეთის სამრეწველო და სასურსათო საქონელი. თბილისში მცხოვრებმა 69 ოჯახმა მარტსა და აპრილში მიიღო ახალი, უკეთესი ბინები, შეკეთებულია 168 ბინა.

აპრილში შეიქმნა დამატებითი ფონდი ნახევარი მილიონი მანეთის რაოდენობით — სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის ერთდროული ფულადი დახმარების აღმოსაჩენად. ამ ფონდის შექმნაში დიდი როლი შეასრულეს ხელოვნების მუშაკებმა, რომლებმაც ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდისათვის მთელი რიგი კონცერტები და საღამოები გამართეს.

რესპუბლიკის საწარმოები გეგმის გადამეტებით უშვებენ ფართო მოხმარების პროდუქციას სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის. საქართველოს სარეწაო კოოპერაციის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს მაისისა და ივნისის განმავლობაში შეჰკერონ 22.000 წყვილი ფეხსაცმელი საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოების მიერ გეგმის გადამეტებით გამოშუშავებული ტყავისაგან.

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივი შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით 6.000 მეტრზე მეტ შალეულს გამოუშვებს გეგმის გადამეტებით. საქართველოს ადგილობრივი მრეწველობა და სარეწაო კოოპერაცია მაისსა და ივნისში გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ 30.000 მეტრ შალეულს, სატრიკოტაჟო ნაწარმთა 45.000-ზე მეტ საგანს და 50 ტონაზე მეტ სარეცხის საპონს. სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების ვალდებულება იკისრეს აგრეთვე თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის, სამკერვალო ფაბრიკებისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინეს სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს ინდივიდუალური ბოსტნებისათვის ნაკვეთების მიღებასა და ამ ნაკვეთების დამუშავებაში. წელს სამხედრო მოსამსახურეთა 18.000 ოჯახს 2.000 ჰექტარი მიწა მიეცა ინდივიდუალური ბოსტნებისათვის, მათვე მიეცა 20.000 კილოგრამამდე თესლეული.

სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავებაში აქტიურ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობები, რომლებმაც ათასობით ჰექტარი მიწა მოუხნეს. კოლმეურნეობებმა აგრეთვე ათობით ჰექტარი მიწა დასთესეს ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდისათვის.

ბევრი საწარმოს ...
ლექტივები მზრუნვე...
ლებს საწარმოო ჩვ...
კვალიფიკაციის შეძ...
თბილისის საწარმ...
ფრონტელთა ოჯახე...
კარგად ართმევენ ...
სამუშაოს, აღწევენ ...
წარმოო ნორმების ...
თბილისის აბრეშუ...
შაობს მრავალი ...
სახურეთა ოჯახებიდ...
უმრავლესობა სისტე...
გადაჭარბებით ასრუ...
სამხედრო მოსამსახ...
დოკია გნეტოვა 4 ...
ვალებებს 150 პრო...
ველი ქორჭაშვილი ...
მეტს იძლევა. ოსტა...
გეგმას 225 პროცენ...
სამხედრო მოსამსა...
როლკოვა გასული ...
წაფედ სტალინის სა...
ლე ხნის განმავლობ...
პროფესია და უკვე ...
ყვანილ იქნა დამოუ...
ქამად სოფიო კო...
გადაჭარბებით ასრუ...
ბებს.

ფრონტელთა ბევ...
უნარიანი და ენერგ...
გვიჩვენეს, წარმოებ...
„სატრიკოტაჟის" ფ...
როს უფროსად მუშ...
მერი კოშაძე. აბრე...
მაქოეთა ბრიგადას ...
ვა. ნარაზენის ჩაის ...
ბრიგადირად მუშაო...
ქ. ნაცვლიშვილი, ...
ლია „სოციალისტუ...
წარჩინებულის" ნიშ...
რომლებსაც ფრონტ...
ნელობენ, მოწინავე...
საჭიროა შემდეგში...
მოებაში ქალები—ს...
ოჯახების წევრები, ...
ფესიების დაუფლებ...
ბები შევუქმნათ ნა...
ქალებს რომ მეტ...
უკეთ იმუშაონ წარ...
რუნოთ მათი ბავშვ...
სამხედრო მოსამსა...
მწიფო უზრუნველყ...
ბო მოწყობის განყ...
აპრილის განმავლობ...
ბაღებსა და ბაგებში ...
17.000-ზე მეტი ბავ...
ბაში უნდა მივიღო...
ხულო სასოფლო-სამ...